პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 262 (9422) | სამშაბათი, 4 ნოემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის მუშებო, გლეხებო, ინტელიგენციავ! წარმატებით შევასრულოთ ისტორიული ამოცანები, რომლებიც კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ დასახა! მოვიპოვოთ ახალი გამარჯვებანი კომუნიზმის მშენებლობაში!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან.

ალმოვფხვრათ ჩამორჩენა, გადაჭარბებით შევასრულოთ წლიური გეგმა

რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა რესპუბლიკის სტატისტიკური სამმართველოს ცნობა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1952 წლის მესამე კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. როგორც ამ ცნობით დასტურდება, თუმცა გასული წლის მესამე კვარტალთან შედარებით მიმდინარე წლის მესამე კვარტალში მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება 5 პროცენტით გადიდდა, მაგრამ მთლიანად მესამე კვარტალის გეგმა შესრულებულია 99 პროცენტით, მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობისა 100,1 პროცენტით, რესპუბლიკური მრეწველობისა — 98 პროცენტით.

მესამე კვარტალში მაღალნაყოფიერ მუშაობას განაგრძობდნენ რესპუბლიკის მრეწველობის ისეთი წამყვანი დარგები, როგორიც არის ჭიათურის მარგანეცის და ტყვარჩელის ქვანახშირის მრეწველობა. ორივე ტრესტმა, ვადაზე დიდი ხნით ადრე უზრუნველყო საგეგმო დავალებათა განაღდება და ათეულ ათასობით ტონა მარგანეცი და ქვანახშირი ამოიღო გეგმის გადამეტებით. თვალსაჩინოდ დაწინაურდა ომისშემდგომი ხუთწლედის პირმშოს — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქრო. ქართველმა მეფოლადეებმა, რომლებიც დღითიდღე სრულყოფენ თავიანთ პროფესიას, გადაჭარბებით შეასრულეს მესამე კვარტალის გეგმა და ათასობით ტონა ზეგეგმითი ფოლადი გამოადნეს. მესამე კვარტალის საგეგმო დავალებანი გადაჭარბებით შეასრულეს სატყეო და ადგილობრივი მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროებმა, აგრეთვე სარეწაო კოოპერაციამ.

გასულ წელთან შედარებით წელს რესპუბლიკაში უკეთ მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. 25 ოქტომბრისათვის მარცვლეული და პარკოსანი კულტურები აღებული იყო 8 პროცენტით მეტი, მათ შორის თავთავიანი კულტურები 14 პროცენტით მეტი გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით. გადაჭარბებით არის შესრულებული თამბაქოს შეტეხის გეგმა. წარმოებს კარტოფილისა და შაქრის ჭარხლის მასობრივი აღება, საშემოდგომო ხორბლის თესვა.

მთლიანად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მოპოვებული ერთგვარი წარმატების მიუხედავად, მესამე კვარტალის შედეგები არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რესპუბლიკური მრეწველობის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში მოხსენებული სამრეწველო სამინისტროებიდან საგეგმო დავალება ერთგვარი გადაჭარბებით შეასრულა მხოლოდ სამმა სამინისტრომ. ჩამორჩა კვების მრეწველობის სამინისტრო, კვარტალური გეგმები ვერ შეასრულეს და მრავალი მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია დააკლეს სახელმწიფოს საშენ მასალათა, ხორცისა და რძის, აგრეთვე მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებმა, ინვალიდთა კოოპერაციამ.

მართალია, ამ სამინისტროების მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები გადაჭარბებით ასრულებენ საგეგმო დავალებებს, ბევრ მათგანს უკვე განაღდებული აქვს 11 თვის, ხოლო ზოგიერთს წლიური გეგმაც, მაგრამ ამ მოწინავე საწარმოთა გვერდით არის ბევრი ჩამორჩენილი საწარმო.

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის თვითეულ დარგს ყველა პირობა მოეპოვება საგეგმო დავალების არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებით შესრულებისათვის. ჩვენი სამრეწველო საწარმოები აღჭურვილი არიან პირველხარისხოვანი საბჭოთა ტექნიკით, საკმაო რაოდენობით გვყავს მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მაღალკვალიფიციური კადრები. სამრეწველო საწარმოები ახლა უხვად მარაგდებიან ნედლეულითა და დამხმარე მასალებით, საბობბინეთ და ელექტროენერგიით. ამრიგად, ამ საწარმოთა ჩამორჩენის ობიექტური მიზეზებით ახსნა ყოვლად გაუმართლებელია. **ჩამორჩენის მიზეზია არა ობიექტური პირობები, არამედ საქმის ორგანიზაციის მოუგვარებლობა, ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელის უუნარობა.**

საქართველოს კომუნისტური პარტიის XV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხ. ა. ი. მგელაძემ აღნიშნა:

„წლის მეორე ნახევარი მრეწველობისა და ტრანსპორტის მიერ 1952 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, იმ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის გადამწყვეტი პერიოდია, რომლებიც მათმა მუშაკებმა ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილი წერილით იკისრეს.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა დარაზმონ მშრომელები სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის საბრძოლველად, იმისათვის საბრძოლველად, რომ თვითეულმა საწარმომ როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით გადაჭარბებით შეასრულოს წლიური დავალება, შეამციროს თვითღირებულება“.

ეს მითითება საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებს, პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციებს ავალებს ქმედითად ჩაუდგნენ სათავეში მუშათა მზარდ საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, რომელიც არაჩვეულებრივად გაძლიერდა მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობისათვის მზადების, მისი მუშაობის, ყრილობის მიერ მიღებული ისტორიული გადაწყვეტილებებისა და ამხანაგ სტალინის შთამაგონებელი სიტყვის შემდეგ. ახლა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, საკოლმეურნეო სოფელში, ტრანსპორტსა და მშენებლობებზე გაჩაღებულია დიდი ოქტომბრის ოცდათხუთმეტი წლისთავისადმი მიძღვნილი ტრადიციული საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. საწარმოთა კოლექტივები, საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები იბრძვიან იმისათვის, რომ ახალ-ახალი საწარმოო საჩუქრები მიუძღვნან სოციალისტურ სამშობლოს.

საჭიროა მუშათა და კოლმეურნეთა ეს აქტივობა წარვმართოთ მიმდინარე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის საბრძოლველად, მივაღწიოთ იმას, რომ არ გვქონეს არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო, სახალხო მეურნეობის არც ერთი ჩამორჩენილი დარგი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებში, რომლებიც ამ დღეებში გამოქვეყნდა, ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირის მშრომელებო! გააჩაღეთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის! იბრძოლეთ სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის დონის ამაღლებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის!“.

ჩვენი პარტიის ეს მოწოდებანი თვითეულ საბჭოთა ადამიანს გმირული შრომისა და მამაცობისათვის, კომუნიზმის მშენებლობაში ახალ-ახალი წარმატებების მოპოვებისათვის აღაფრთოვანებს, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის თვითეულ მშრომელს კარგად აქვს შეგნებული, რომ **„მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულება წინგადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ განვითარების გზაზე“.**

დავრაზმოთ მთელი ძალები რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, მიმდინარე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. სახელოვანი საწარმოო მიღწევებით შეეხვდეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXV წლისთავს!

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის

ასრულებენ საღლესასწაულო ვალდებულებებს

ჟუთაისი. (საკ. კორ.). სამრეწველო კომბინატის კოლექტივმა ფართოდ გააჩაღა დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. მოწინავე საწარმოებმა ვადამდე შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი და სამშობლოს გეგმის გადამეტებით დიდძალი ფართო მოხმარების საქონელი დაუმზადეს.

ქიმიურმა ქარხანამ 25 ოქტომბერს შეასრულა ოქტომბრის გეგმა და იკისრა დამატებით გამოუშვას მრავალი ათასი მანეთის პროდუქცია. საწარმომ პირნათლად გაანაღდა თავისი პირობა. ვალდებულებათა შესრულების საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი ფართო მოხმარების საგნების, კირქვისა და მინერალური საღებავების დამამზადებელმა საამქროებმა.

ტრიკოტაჟის ფაბრიკამ საოქტომბრო შეჯიბრებაში მექანიკური ქარხანა გამოიწვია და ოქტომბრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, გამოუშვა გაუმჯობესებული ხარისხის აბრეშუმის ქსოვილები და ტრიკოტაჟი.

დაწინაურდა საშენ მასალათა წარმოებაც. მან ერთი კვირით ადრე შეასრულა ოქტომბრის გეგმა და დიადი ღღესასწაულისათვის დამატებით დაამზადა 20 ათასი ცალი აგური, 60 ტონა კირი და სხვა საშენი მასალა.

შრომითი აღმავლობა ტყიბულის შახტებში

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულელ მეშახტეები წარმატებით მუშაობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავისათვის ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

მოლოტოვის სახელობის შახტის სტახანოველმა მეშახტემ მამია ფარტელაძემ განაცხადა: პარტიის საოქტომბრო მოწოდებები ჩვენს წინაშე სახავს ამოცანას უკეთესად მოვაწყოთ სამთო სამუშაოების მექანიზაცია, მივცეთ ქვეყანას მეტი სათბობი. მშობლიური პარტიის ამ მოწოდებას ჩვენ სტახანოვური საქმეებით ვუპასუხებთ. მიმდინარე წლის 10 თვეში 19 თვის გეგმა შევასრულე და გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათეული ტონა ქვანახშირი ამოვიღე. ვკისრულობ კიდევ უფრო გავზარდო შრომის ნაყოფიერება, უკეთ გამოვიყენო მოწინავე სამთო ტექნიკა და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ამოვიღო 500 ტონა ქვანახშირი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებს ასევე სტახანოვური საქმეებით უპასუხებენ გელათელი მეშახტეები, რომლებიც ყოველდღიურად ნაკისრი ვალდებულებების ანგარიშში რამდენიმე ათეულ ტონა ქვანახშირს იღებენ. შახტში შრომითი წარმატებებით განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს მნგრეველებმა ნ. გიორგაძემ, გ. ბასილაძემ, უ. ხუჯაძემ და სხვ.

საოქტომბრო სტახანოვურ ვახტზე დგომის დღეებში განსაკუთრებით დიდი ენთუზიაზმით შრომობენ სპატიო მეშახტის კომუნისტ გრიგოლ ჩივაძის მთხრელთა ბრიგადის წევრები.

დიდი სტალინის მონუმენტი ქალაქ გორში.

მონუმენტის ავტორები — მოქანდაკეები შ. მიქატაძე და ელენე მაჩაბელი, არქიტექტორები ზაქარია და ნადეჟდა ქურდიანები.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ბელადის მონუმენტი გორში

იზრდება და მშვენიერდება სოციალისტური ქალაქი გორი, ფართოვდება მისი ქუჩები, შენდება ლამაზი შენობები, მიმდინარეობს მოედნების კეთილმოწყობა.

სად არ სწვდება გორის პატარა, ალიზით ნაშენი სახლის სიღიადე, სახლისა, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა მშრომელთა დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა ი. ბ. სტალინმა. მნახველები დიდხანს სიყვარულით უცქერიან ნივთებს, ოთახს, სახლს, მთელ მიდამოს, რომ სამუდამოდ აღიბეჭდონ გონებაში ყველაფერი, რაც დაკავშირებულია მშობლიური სტალინის სახელთან.

კვირას, 2 ნოემბერს, სტუმართმოყვარე ქართლის გულში — გორში მოვიდნენ მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერები, მწერლები, მხატვრები და არქიტექტორები, ინჟინრები და მასწავლებლები, მოვიდნენ რესპუბლიკის რჩეული ადამიანები, რათა მონაწილეობა მიეღოთ დიად სახალხო ზეიმში გორის ცენტრალურ მოედანზე ამხანაგ ი. ბ. სტალინის მონუმენტის გახსნის გამო.

დღის 2 საათია... მოედანზე მრავალმა ათასმა მშრომელმა მოიყარა თავი. მაღი გულისყური, ფიქრი და ოცნება მიპყრობილია მშობლიური ბელადის მონუმენტისაკენ.

ტრიბუნაზე ადიან საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელი მუშაკები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწეები.

ზეიმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. რომელაშვილმა. მოედანზე გაისმის მქუხარე ტაში, ორკესტრი ასრულებს საქართველოს სახელმწიფო ჰიმნს, ოვაცია თანდათან ძლიერდება. ჰაერში ნელხელა ირხევა თეთრი სამოსელი, იგი ფრთხილად შორდება ძვირფასი ადამიანის მონუმენტს.

ძნელია აღწერა მღელვარებისა, რომელსაც განიცდიდნენ იმ წუთებში მონუმენტის ირგვლივ თავმოყრილი ადამიანები. მათ წილად ხვდათ ბედნიერება პირველნი მისალმებოდნენ დიადი ადამიანის — თავისუფლების, სიცოცხლისა და სიხარულის შემოქმედის მონუმენტს.

გრანიტის პოსტამენტზე დგას მონუმენტი დიადი ადამიანისა, სივრცეს ჰკვეთს მისი არწივისებური გამოხედვა. მშრომელთა ტაში არ ცხრება, თანდათან ძლიერდება ოვაცია, გუგუნებს სახელმწიფო ჰიმნი, მღერიან ბელადისადმი მადლიერების გრძნობით გულანთებული ადამიანები.

ზეიმის მონაწილეებს გორის ინტელიგენციის სახელით მიესალმა ბელადის სახლ-მუზეუმის დირექტორი ანა სავანელი. მისი სიტყვები: „სტალინი— სიცოცხლეა, სტალინი — მშვიდობაა, სტალინი — კომუნიზმია!“ იფარება მშრომელთა ხანგრძლივი ტაშით.

გაისმის გორელი მოსწავლის ნუნუ ხახუტაშვილის წკრიალა ხმა. ბედნიერი ბავშვების, დიდი სტალინის მზით გზაგანთებული მომავალი თაობის სახელით იგი მიესალმება დიდი ადამიანის მონუმენტის გახსნას, ულოცავს მშრომელებს დიდი ბელადის მონუმენტის გახსნით გამოწვეულ ზეიმს. თავის სიტყვას ნ. ხახუტაშვილი ამთავრებს პოეტ ი. გრიშაშვილის ლექსით:

„...ქართლი კრემლს ესიტყვება
შენნ სიბრძნით ქებული,
გორი უფრო დამშვენდა,
აღსდგა განახლებული...“

ტრიბუნაზეა სოფელ სკრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე თამარ დათაშვილი. მან დამსწრეთ გაუზიარა გორის რაიონის მშრომელთა სიხარული დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მონუმენტის გახსნის გამო.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა მწერალმა ვ. გოლცევმა. მონუმენტის მშენებლობის ხელმძღვანელმა შ. კიტოვანმა დაასახელა ადამიანები, რომლებიც გულითადი სიყვარულით შრომობდნენ, რათა ქალაქ გორისათვის, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელისათვის მოეშზადებინათ უძვირფასესი საჩუქარი—დიდი ბელადის მონუმენტი.

ზეიმს ლექსით მიესალმა პოეტი გიორგი ლეონიძე. მისი სიტყვები „დიდის მშობელი პატარა გორი გახდა მსოფლიოს დასანატრელი“, — იფარება მქუხარე ტაშით.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე მოქანდაკე ვ. თოფურიძემ.

— მონუმენტი კი არა, თითქოს ბელადმა შემოაღო გორის კარი, მონუმენტი კი არა, თითქოს თვითონ ბელადი მოვიდა ხალხმრავალ ზეიმზე,— ამბობს პოეტი ი. ნონეშვილი და მხურვალე ლექსით მიესალმება ბელადის მონუმენტის გახსნას.

ზეიმს გულწრფელი ლექსით მიესალმა აგრეთვე ოსი პოეტი რევაზ ასაევი.

დამთავრდა მიტინგი. საბჭოთა კავშირის ჰიმნი შეცვალა ქართველმა ხალხურმა სიმღერებმა, მოედანზე ცეკვა-თამაშია...

ღამით მონუმენტის ირგვლივ კაშკაშებენ ფერად-ფერადი ელექტრონათურები, ხარაჩოებში ჩამჯდარ მშობლიურ ქალაქს—კომუნიზმის გზაზე მტკიცედ მიმავალ გორს ბრძნული თვალებით დაჰყურებს თავისი შვილი, გორის პატარა ქოხიდან აფრენილი არწივი, ქართლის უბეში დაბადებული ჰზე, დიადი და ჩაუქრობელი.

დიდება ამ ჰზეს!

ი. ბ. სტალინის სახელობის ზემო სამგორის სარწყავი სისტემის წლისთავი

დღეს ერთი წელი შესრულდა ზემო სამგორის სარწყავი სისტემის პირველი რიგის საექსპლოატაციოდ გადაცემისა და მისთვის დიდი სტალინის სახელის მიკუთვნების დღიდან.

სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემა რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობაა, რომელიც გაანგარიშებულია უშუალოდ თბილისის მოსაზღვრე 40,8 ათასი ჰექტარი მიწის მოსარწყავად.

მშენებლებმა გაიყვანეს 40-ზე მეტი კილომეტრი სიგრძის ზემომგისტრალური არხი. ერთი წლის მანძილზე ამ არხში გაიარა 120 მილიონმა კუბურმა მეტრმა იორის წყალმა, რომელიც ავსებს ვეებერთელა წყალსაცავს.

უკვე წლევანდელ ზაფხულში იორის წყალით მოირწყო პირველი ხუთი ათასი ჰექტარი მიწა, მათ შორის მარცვლეულის სათესად პირველად ათვისებული ვრცელი ფართობები. საგარეჯოს და გარეუბნის რაიონების კოლმეურნეობებმა წარსული სარწყავი სეზონის განმავლობაში მიიღეს ხუთი მილიონი კუბური მეტრი სარწყავი წყალი.

ვეებერთელა უდაბური მასივის აღორძინებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის, მთავრობის, პირადად ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ამოცანის — საქართველოს საკუთარი წარმოების მარცვლეულით უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველოს მაღალმთიანი მცირემიწიანი რაიონებიდან სამგორის ველზე გადასახლდა ასობით კოლმეურნის ოჯახი, რომლებმაც ხორბალი დათესეს ათასობით ჰექტარ ყამირ მიწაზე. გადასახლებულთათვის აგებულია კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები, დაბებთან მიყვანილია წყალსადენი, ელექტროგანათება, გაყვანილია გზები.

სარწყავ წყალთან ერთად სამგორის ველზე დამკვიდრდა მოწინავე საბჭოთა ტექნიკა. წელს აქ მოეწყო სამგორის ახალი მანქანა-ტრაქტორთა სადგური. მისი დახმარებით კოლმეურნეებმა ხორბლის დასათესად აითვისეს ათასობით ჰექტარი მიწა.

სამგორის ველის უდიდეს სივრცეებში დიდი მასშტაბის საირიგაციო სამუშაოები გრძელდება. მშენებლებმა გათხარეს ქვემომაგისტრალური არხი, რომლის სათავეც თბილისის წყალსაცავთან იწყება და რომელიც განკუთვნილია სამგორის ველის ახალი მასივების მოსარწყავად. ახლა არხის ტრასზე გაჩაღებულია ბეტონის სამუშაოები.

მთავრდება ღრმაღელის სარწყავი არხის გაყვანა, რომელიც განკუთვნილია ძირითადად იმისათვის, რომ გამწვანდეს უტყეო ბორცვები, რომლებიც თავისი ფერდობებით მიმართულია ქალაქ თბილისისაკენ. ფართო ფრონტით მიმდინარეობს 32 კილომეტრი სიგრძის ლილო-მარტყოფის სარწყავი არხის გაყვანის სამუშაოები. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ფართოდ განშტოებული სარწყავი ქსელის გაყვანა. მომავალ გაზაფხულზე მან უნდა უზრუნველყოს კიდევ 5 ათასი ჰექტარი მიწის მორწყვა.

დიდი მასშტაბის სამუშაოები წარმოებს მდინარე იორის სათავეებში. აქ შენდება სიონის წყალსაცავი, რომელიც განკუთვნილია მდინარე იორის დინების სრული რეგულირებისა და სარწყავი წყალით ზემო და ქვემო სამგორის მიწების უზრუნველყოფისათვის.

სტალინის სახელობის ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის ყველა ძირითადი სამუშაო უნდა დამთავრდეს მომავალი წლის დამლევამდე. მშენებელთა კოლექტივი იწყებს ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის სამუშაოთა გაჩაღებას. იგი მორწყავს საგარეჯოს, კაჭრეთისა და სიღნაღის რაიონების 40 ათას ჰექტარზე მეტ საკოლმეურნეო მიწას.

სამგორის ველის გაცოცხლებით ქართველ ხალხს თავისი შრომითი წვლილი შეაქვს ბუნების გარდაქმნის გრანდიოზული სტალინური გეგმის განხორციელების საქმეში. (საქდესი).

სამშობლოს საკეთილდღეოდ

ცხინვალი. (საკ. კორ.). ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვითა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა კოლმეურნეებმა გააჩაღეს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება და იკისრეს ახალი შრომითი ვალდებულებები.

სოფელ ეკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში დღითიდღე აძლიერებენ ახალი წარმატებებით ხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს, ჩაის პლანტაციებში საშემოდგომო სამუშაოები გაცხოველებით მიმდინარეობს. სიმინდის მოსავლის აღების საქმეში დაწინაურდნენ კოლმეურნეები ო. ცხვიტავა, დ. ხუნჯუა, ნ. ნინუა, ნ. კუპრავა და სხვები. კოლმეურნეობაში გეგმის გადამეტებით დაამზადეს 600 ცენტნერი თივა.

მტს-ის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს 5 დეკემბრამდე მოხნას 21.000 ჰექტარი (რბილ ხვნაზე გადაყვანით).

ციტრუსოვანთა ნაყოფის თავისუფალი გაყიდვის აკრძალვის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 28 ოქტომბრის დადგენილება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1952 წლის მოსავლის ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების პერიოდის დაწყებასთან დაკავშირებით, აეკრძალოს ყველა კოლმეურნეობას, კოლმეურნეს, ერთპიროვნულ მეურნეს, აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებსაც ციტრუსოვანთა პლანტაციები აქვთ, ციტრუსოვანთა ნაყოფის (ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი) თავისუფალი გაყიდვა, ვიდრე საქართველოს სს რესპუბლიკაში მთლიანად არ შესრულდება 1952 წლის მოსავლის ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების სახელმწიფო გეგმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. კეცხოველი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ბუხნიკაშვილი.

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად

ლენინ—სტალინის პარტია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია

საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა უდიდესი პოლიტიკური აღმავლობით ეგებება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს. კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ სახელოვანი ფურცელი ჩაწერა საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და შრომის ისტორიაში, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში. ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები შეიარაღებული, ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალური სიტყვით, სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის გზების შესახებ მისი მოძღვრებით შთაგონებული საბჭოთა ხალხი მტკიცე რწმენით მიემართება წინ ახალი გამარჯვებებისაკენ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დაიწყო ახალი ერა მსოფლიო ისტორიაში. „ოქტომბრის რევოლუცია, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ რევოლუციად „ნაციონალურ ჩარჩოებში“. იგი, უწინარეს ყოვლისა, არის ინტერნაციონალური, მსოფლიო ხასიათის რევოლუცია, ვინაიდან ის ნიშნავს ძირეულ მობრუნებას კაცობრიობის მსოფლიო ისტორიაში ძველი, კაპიტალისტური სამყაროდან ახალი, სოციალისტური სამყაროსაკენ“ (თხზ., ტ. 10, გვ. 255).

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაარღვია საერთაშორისო იმპერიალიზმის ერთიანი ფრონტი და ორ მოპირდაპირე ბანაკად გაჰყო მსოფლიო. 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ მთელი მსოფლიო ისტორია ამ ორი დაპირისპირებული ბანაკის — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ურთიერთშეურიგებელი ბრძოლის ნიშნით ვითარდება.

დიდი ოქტომბერი წარმოადგენდა გიგანტურ რევოლუციურ ნახტომს დიდი რუსეთის ხალხთა ისტორიულ ცხოვრებაში. მან ძირფესვიანად დაამსხვრია ძველი ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილება და დაამკვიდრა ახალი, ისტორიაში მანამდე არნახული სახელმწიფოებრივი წყობილება—ახალი ტიპის მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო. ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა პროლეტარიატის დიქტატურამ, რევოლუციური მუშათა კლასი ისტორიაში პირველად იქცა გაბატონებულ და ხელმძღვანელ ძალად. კაპიტალისტებისა და მემამულეთა საკუთრების ექსპროპრიაციის შედეგად ჩვენს ქვეყანაში საფუძველი ჩაეყარა ახალ, საბჭოთა საზოგადოებრივ წყობილებას.

რა ძალამ, რა ძირითადმა ფაქტორმა უზრუნველყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ზეიმი? პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების მთავარი ბერკეტი კომუნისტური პარტია, ლენინ—სტალინის პარტია იყო. კომუნისტების გმირი პარტია რაზმავდა მშრომელთა ფართო მასებს და წარმართავდა მათს რევოლუციურ ენერგიას ცარიზმის, ბურჟუაზიისა და მემამულეების წინააღმდეგ, განუხრელად უძღოდა წინ პროლეტარიატს გადამწყვეტ ბრძოლებში, გამარჯვების ღრმა რწმენით აღაფრთოვანებდა მშრომელებს. ბოლშევიკების პარტიამ მიიყვანა რუსეთის ხალხთა მასები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე. ლენინ — სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა წარმატებით ააშენეს სოციალისტური საზოგადოება და ახლა კომუნისტურ საზოგადოებას აშენებენ. ჩვენი პარტიის, ლენინ—სტალინის პარტიის პოლიტიკა — საბჭოთა სახელმწიფოს, საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველია. საბჭოთა ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპზე კომუნისტური პარტიის პოლიტიკა ძლევამოსილ ზემოქმედებას ახდენდა და ახდენს ჩვენი საზოგადოების წინსვლაზე, პარტიის ბრძნული პოლიტიკა მუდამ რაზმავდა და რაზმავს, ამობილიზებდა და ამობილიზებს მშრომელთა მილიონიან მასებს კომუნიზმის მშენებლობის ისტორიული ამოცანების გადასაჭრელად.

* * *

ჯერ კიდევ რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნის გარიჟრაჟზე ვ. ი. ლენინი წერდა: „მოგვეცით რევოლუციონერთა ორგანიზაცია —და ჩვენ გადავაბრუნებთ რუსეთს!“ (თხზ., ტ. 5, გვ. 593). ლენინისა და სტალინის უდიდეს დამსახურებას ისტორიის წინაშე წარმოადგენს ის, რომ მათ შექმნეს და გამოაწრთეს ასეთი ჭეშმარიტად რევოლუციური ორგანიზაცია.

XIX და XX საუკუნეთა მიჯნაზე რევოლუციის გენიოსები ლენინი და სტალინი შეუდგნენ ძმბრძოლი მარქსისტული პარტიის, ახალი ტიპის პარტიის შენებლობას. უსასტიკეს ბრძოლებში ოპორტუნიზმისა და ბურჟუაზიის აგენტების წინააღმდეგ მუშათა მოძრაობაში დიდმა ბელადებმა შეიმუშავეს მოძღვრება ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის შესახებ, როგორც მუშათა კლასის მოწინავე რაზმისა და ხელმძღვანელის, როგორც მთავარი იარაღისა პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლაში. „მარქსიზმი, მუშათა პარტიას რომ ზრდის,—წერდა ლენინი, — იგი ზრდის პროლეტარიატის ავანგარდს, რომელსაც შეეძლება ხელთ აიღოს ძალაუფლება და გაუძღვეს მთელ ხალხს სოციალიზმისაკენ, წარმართოს და მოაწყოს ახალი წყობილება, იყოს ყველა მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მასწავლებელი, ხელმძღვანელი, ბელადი უბურჟუაზიოდ და ბურჟუაზიის წინააღმდეგ თავისი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობის საქმეში“. (თხზ., ტ. 25, გვ. 497).

ლენინმა და სტალინმა თანმიმდევრულად დაამუშავეს კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური, ორგანიზაციული, ტაქტიკური და თეორიული საფუძვლები, შეაიარაღეს პარტია მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე თეორიით, გამოაწრთეს იგი მშრომელთა განთავისუფლებისათვის უსასტიკეს ბრძოლებში, შეამჭიდროვეს და განამტკიცეს მისი რიგები ნებისყოფისა და მოქმედების ერთიანობით, რკინისებური დისციპლინით, გადააქცეს იგი მსოფლიოში უძლიერეს რევოლუციურ პარტიად. კომუნისტური პარტიის გმირულ ისტორიასთან, მისი დამაარსებლებისა და ბელადების დიად სახელებთან განუყრელად არის დაკავშირებული პროლეტარიატისა და ყველა მშრომელის გამარჯვებანი რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე.

შემთხვევითი არ არის, რომ ახალი ტიპის მარქსისტული პარტია სწორედ რუსეთში წარმოიშვა. XX საუკუნის დასაწყისში რუსეთი გახდა იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტი, იგი გახდა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ცენტრი, ლენინიზმის სამშობლო. რუსეთის პროლეტარიატი — მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური კლასი—მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ავანგარდში იდგა. კომუნისტური პარტია, რომელსაც გზას უნათებდა ლენინისა და სტალინის გენია, სამი რევოლუციის სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი და ბელადი იყო.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით შეძლო წესრიგით უკან დახევა და კვლავ იწყო რევოლუციურ ძალთა შეკრება, რადგან ღრმად სწამდა ახალი რევოლუციური აღმავლობის გარდუვალობა.

მუშათა მოძრაობის ახალი აღმავლობის წლებში ლენინ—სტალინის პარტია კვლავ სათავეში ჩაუდგა ამბობოქრებულ რევოლუციურ მასებს. პირველი მსოფლიო ომის წინ რუსეთში მწიფდებოდა ახალი ძლევამოსილი რევოლუცია, მაგრამ იმპერიალისტურმა ომმა რევოლუციური ამბების განვითარება დროებით შეაჩერა. ლენინ—სტალინის პარტია იყო ერთადერთი პარტია, რომელმაც გაბედულად აღმართა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა. ლენინმა და სტალინმა გვიჩვენეს II ინტერნაციონალის კრახის მიზეზები და სამარცხვინო ბოძზე გააკრეს სოციალიზმის საქმის მოღალატეები, მემარჯვენე სოციალისტები. ომის მძიმე წლებში ლენინ—სტალინის პარტია აღმოჩნდა ერთადერთი პარტია, რომელიც დარჩა სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის ბოლომდე ერთგული.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ლენინ—სტალინის პარტიამ დაძაბული რევოლუციური მუშაობით რვა თვის განმავლობაში, 1917 წლის თებერვლიდან ოქტომბრამდე, შეძლო რუსეთის მშრომელი მასების დარწმუნება თავისი ხაზის სისწორეში და თან გაიყოლია მუშათა კლასი, უღარიბესი გლეხობა, ჩაგრული ერები იერიშზე კაპიტალიზმის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

1917 წლის სექტემბერში კომუნისტების პარტიამ მიიღო ხმების უმრავლესობა ორივე დედაქალაქის—პეტროგრადისა და მოსკოვის საბჭოებში. ლენინ—სტალინის პარტიას მიჰყვებოდა საბჭოების მეორე ყრილობის უმრავლესობა, რომელმაც გამოაცხადა ძალაუფლების გადასვლა მუშებისა და უღარიბესი გლეხობის ხელში.

ჩვენი ქვეყნის ხალხებმა, რომლებმაც სამი რევოლუციის მსვლელობაში საქმით შეაბოწმეს და გამოსცადეს მთავარი პოლიტიკური პარტიები, ზიზღით უკუაგდეს ყველა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტია. მათ თავიანთი არჩევანი შეაჩერეს ახალი ტიპის პროლეტარულ პარტიაზე, კომუნისტურ პარტიაზე, რომელმაც დაამტკიცა თავისი უანგარო ერთგულება ხალხისადმი, როგორც ერთადერთმა ანტიმემამულურმა და ანტიკაპიტალისტურმა პარტიამ. სწორედ ამიტომ კომუნისტების პარტია, ლენინ—სტალინის პარტია გახდა ჩვენი ხალხის ერთადერთი და აღიარებული ბელადი. ლენინისა და სტალინის უდიდეს დამსახურებას მთელი პროგრესული კაცობრიობის წინაშე წარმოადგენს ის, რომ მარქსიზმის დედაარსზე დაყრდნობით მათ ყოველმხრივ დაამუშავეს თეორია სოციალისტური რევოლუციისა იმპერიალიზმის ეპოქაში, შეაიარაღეს პარტია, მუშათა კლასი და ყველა მშრომელი დიდი ლენინურ-სტალინური მოძღვრებით ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ.

ოქტომბრის რევოლუციისათვის მზადების პერიოდში პარტიის VI ყრილობაზე ამხან. გმა სტალინმა გენიალური შორსმჭვრეტელობით განაცხადა: „გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ სწორედ რუსეთი იქნება სოციალიზმისაკენ გზის გამკაფავი ქვეყანა... უნდა უკუვაგდოთ დრომოჭმული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მხოლოდ ევროპას შეუძლია მიგვითითოს გზა. არსებობს მარქსიზმი დოგმატური და მარქსიზმი შემოქმედებითი. მე ამ უკანასკნელის ნიადაგზე ვდგავარ“. (ი. სტალინი. თხზ., ტ. 3, გვ. 210-211).

დიდი სტალინის ისტორიული წინასწარმეტყველება მთლიანად დადასტურდა: რუსეთი იქცა იმ ქვეყნად, რომელმაც გზა გაუკაფა მთელ კაცობრიობას სოციალიზმისაკენ.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება წარმოადგენდა იმ პოლიტიკის უმაღლეს ზეიმს, რომელსაც ლენინ—სტალინის პარტია ახორციელებდა თავისი ისტორიის რევოლუციამდელ პერიოდში. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“ ვკითხულობთ: ოქტომბრის რევოლუციისათვის ბრძოლის დროს „მუშათა კლასის სათავეში იდგა ისეთი, პოლიტიკურ ბრძოლებში ნაცადი პარტია, როგორიც არის ბოლშევიკების პარტია. მხოლოდ ისეთ პარტიას, როგორიც არის ბოლშევიკების პარტია, საკმაოდ გაბედული იმისათვის, რომ წაიყვანოს ხალხი გადამწყვეტ იერიშზე, და საკმაოდ წინდახედული იმისათვის, რომ გვერდი აუაროს ყველა და ყოველგვარ წყალქვეშა ქვებს მიზნისაკენ მიმავალ გზაზე, — მხოლოდ ასეთ პარტიას შეეძლო ასე უნარიანად შეეერთებინა ერთ საერთო რევოლუციურ ნაკადად ისეთი სხვადასხვაგვარი რევოლუციური მოძრაობანი, როგორიცაა საერთო-დემოკრატიული მოძრაობა ზავისათვის, გლეხურ-დემოკრატიული მოძრაობა მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებისათვის, ჩაგრული ხალხების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ნაციონალური თანასწორუფლებიანობისათვის და პროლეტარიატის სოციალისტური მოძრაობა ბურჟუაზიის დამხობისათვის, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის“.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაიწყო ახალი ეპოქა ჩვენი სამშობლოს ისტორიაში. პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების შემდეგ ლენინ—სტალინის პარტიის, როგორც სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილი პარტიის წინაშე სრულიად ახალი და გრანდიოზული ამოცანები დაისახა. ერთი მხრივ იგი „...რუსეთის შიგნით გადატრიალების პარტიიდან გადაიქცა მშენებლობის პარტიად, მეურნეობის ახალი ფორმების შექმნის პარტიად“ (ი. სტალინი). მეორე მხრივ პარტიის წინაშე ძნელებურად დაისვა ინტერნაციონალური პროლეტარული სტრატეგიის დიდი ამოცანა: გაგვეტარებინა ერთ ქვეყანაში იმის მაქსიმუმი, რისი გატარებაც კი შეიძლებოდა ყველა ქვეყნებში რევოლუციის განვითარების, მხარდაჭერისა და გაღვივებისათვის. „მას შემდეგ, — თქვა ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ სიტყვაში პარტიის XIX ყრილობაზე, — რაც ჩვენმა პარტიამ 1917 წელს ხელში აიღო ძალაუფლება, და მას შემდეგ, რაც პარტიამ განახორციელა რეალური ღონისძიებანი კაპიტალისტთა და მემამულეთა უღლის ლიკვიდაციისათვის, მოძმე პარტიების წარმომადგენლებმა, რომლებიც აღტაცებული იყვნენ ჩვენი პარტიის სიმამაცითა და წარმატებებით, მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის „დამკვრელი ბრიგადა“ უწოდეს მას. ამით ისინი იმედს გამოთქვამდნენ, რომ „დამკვრელი ბრიგადის“ წარმატებები მდგომარეობას შეუმსუბუქებდა კაპიტალიზმის უღელქვეშ მგმინავ ხალხებს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა პარტიამ გაამართლა ეს იმედები“.

პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებით კომუნისტური პარტიის როლი და პასუხისმგებლობა განუსაზღვრელად გაიზარდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვ. ი. ლენინი წერდა: „ჩვენ, ბოლშევიკების პარტიამ, რუსეთი **დავარწმუნეთ**. რუსეთი ჩვენ **ბრძოლით წავართვით** მდიდრებს ღარიბებისათვის, ექსპლოატატორებს — მშრომელთათვის. ახლა ჩვენ რუსეთი უნდა **ვმართოთ**“ (ლენინი. თხზ., ტ. 27, გვ. 283).

კომუნისტურმა პარტიამ თავისი გენიალური ბელადების ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით იხილა უფსკრულის პირას მდგომი რუსეთი უცხოეთის იმპერიალიზმის უღლისაგან, მოუპოვა მას ეროვნული დამოუკიდებლობა, ბოლო მოუღო ჩვენი ხალხების ნაციონალურ-კოლონიურ ჩაგვრას, მათს შუასაუკუნეობრივ ჩამორჩენილობას, საბოლოოდ მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და უზრუნველყო სოციალისტური საზოგადოების აშენება. ლენინ — სტალინის პარტიის ბრძნული პოლიტიკის შედეგად ჩვენი სამშობლო მთელი პროგრესული კაცობრიობის ავანგარდშია, იგი მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის უძლეველ ბასტიონად იქცა. მეტად მძიმე, ნარეკლიანი იყო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ზრდისა და განვითარების გზა, რომლითაც ქვეყანა სოციალიზმის გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიდიოდა. მაგრამ, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, უძლეველია ის პარტია, რომელმაც იცის, საით წარმართოს საქმე და რომელსაც სიძნელეებისა არ ეშინია.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „დიადი ენერგია მხოლოდ დიადი მიზნისათვის იბადება“. ოქტომბრის რევოლუციამ ფრთები შეასხა საბჭოთა ადამიანების წინათ მთვლემარე ძალებს და მათი ენერგია მძლეთამძლე ტალღად ააზვირთა. ხალხთა მასების მჩქეფარე შემოქმედებითი ენერგია და თვითმოქმედება ტიტანურ ძალად გაიშალა სოციალიზმისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა სახელმწიფოს მოუხდა უთვალავ სიძნელეთა და საშიშროებათა გადალახვა. სამოქალაქო ომისა და უცხოეთის იმპერიალისტ-ინტერვენტებთან გაფთრებული ბრძოლის დროს ლენინი შთამაგონებელი სიტყვებით ამხნევებდა სოციალისტური საშობლოს დამცველ პატრიოტებს: „ვერასდროს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, რომლის მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ თავიანთ, საბჭოთა ხელისუფლებას — მშრომელთა ხელისუფლებას, რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათი და მათი შვილებისათვის უზრუნველყოფს კულტურის მთელი სიკეთით, ადამიანის შრომის ყველა ქმნილებით სარგებლობის შესაძლებლობას“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 29, გვ. 370). გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ბრძოლის პერიოდში მკაფიოდ გამოვლინდა პროლეტარული რევოლუციით შობილი სახალხო მასების დიადი საციოცხლო ძალა, რომლის სულისჩამდგმელი და წარმმართველი ლენინ — სტალინის გმირული პარტია იყო.

გაანადგურა რა რევოლუციის მტრები აშკარა შეიარაღებულ შეტაკებაში, პარტია „სამხედრო კომუნიზმის“ პოლიტიკიდან, რომელიც გაპირობებული იყო ომის ვითარებით, გადავიდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე. ლენინი და სტალინი ემყარებოდნენ გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებათა, ქვეყნის შიგნით, კლასობრივი ძალების ურთიერთობის ანალიზს, მთელი საერთაშორისო ვითარების ანალიზს. ითვალისწინებდა რა ქვეყნის ეკონომიკის სოციალისტურ გადაკეთებას, პარტიას თავისი პოლიტიკით უნდა უზრუნველეყო მუშათა კლასის კავშირის განმტკიცება მშრომელ გლეხობასთან, ამ კავშირში მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი, რაც წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლეს პრინციპს. ამ პოლიტიკამ უზრუნველყო საბჭოთა სახელმწიფოს — სოციალიზმის მშენებლობის მთავარი იარაღის — განმტკიცება.

საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებაში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ, რომელმაც ჩვენი სამშობლოს მრავალეროვანი ხალხები ერთ დიდ და მთლიან ოჯახად შეაკავშირა. ამხ. ლ. ბერიამ თავის სიტყვაში პარტიის XIX ყრილობაზე ნათელი შუქი მოფინა სოციალისტური ერების ზრდასა და აყვავებას. მან ცხადყო ის უდიდესი პროგრესი და აღმავლობა, რაც განიცადეს წარსულში ჩამორჩენილმა ერებმა და ხალხებმა სახელოვანი კომუნისტური პარტიის, დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგად.

პარტიის მოსისხლე მტრებთან—კაპიტალიზმის ტროცკისტ-ბუხარინელ რესტავრატორებთან უსასტიკეს ბრძოლაში, ლენინის გარდაცვალების შემდეგ, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელმა ბირთვმა ამხანაგ სტალინის მეთაურობით, წმინდად დაიცვა ლენინის დიადი დროშა, შეამჭიდროვა პარტიის რიგები ლენინური ანდერძის განსახორციელებლად და წაიყვანა საბჭოთა ხალხი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გზით, მთელ ფრონტზე გაშლილი სოციალისტური შეტევის გზით.

ამხანაგმა სტალინმა პირველად მარქსიზმის ისტორიაში წამოაყენა და ბრწყინვალედ დაასაბუთა დებულება სსრ კავშირში კომუნიზმის აშენების შესახებ იმ შემთხვევაშიც, თუ დარჩება კაპიტალისტური გარემოცვა. ამხანაგ სტალინის ეს გენიალური აღმოჩენა აიარაღებს ჩვენს პარტიას და მუშათა კლასს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების ურყევი რწმენით.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომი წარმოადგენდა ჩვენი პარტიის პოლიტიკის სისწორის ყოველმხრივ შემოწმებას. პარტიამ ბრწყინვალედ დაიჭირა მძიმე გამოცდა და მიიყვანა საბჭოთა ხალხი მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე დიდ სამამულო ომში.

უზრუნველყო რა სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა ხალხის წინაშე დააყენა დიდი ისტორიული ამოცანა — შეიქმნას მატერიალური და იდეური წანამძღვარები კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზიდან მის უმაღლეს ფაზაში გადასვლისათვის.

ლენინ—სტალინის დიადი პარტიის XIX ყრილობამ შეაჯამა ჩვენი პარტიის სახელოვან გამარჯვებათა შედეგები და დასახა კომუნიზმისაკენ შემდგომი წინსვლის გრანდიოზული პერსპექტივები. საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ისტორიულ სიტყვას.

კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს პარტიის იდეოლოგიურ მუშაობას. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ იდეები იქცევიან მატერიალურ ძალად, როცა ისინი მასებს დაეუფლებიან.

მეცნიერების დიდი კორიფე, კომუნიზმის გენიალური ხელოვანი ი. ბ. სტალინი დაუცხრომლად ზრუნავს თეორიის გამდიდრებისათვის.

ამხანაგი სტალინი ახალ ნაწარმოებში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შემოქმედებითად ამდიდრებს მარქსიზმ-ლენინიზმს თანამედროვეობის ძირითადი პრობლემების გამოკვლევებით, ახალი მეცნიერული დებულებითა და დასკვნებით. ამხანაგ სტალინის შრომაში ყოველმხრივ გამოკვლეულია სოციალისტურ საზოგადოებაში მატერიალური დოვლათის საზოგადოებრივი წარმოებისა და განაწილების კანონები, განსაზღვრულია სოციალისტური ეკონომიკის განვითარების მეცნიერული საფუძვლები, ნაჩვენებია სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები.

* * *

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ხალხთა მასები მთელ მსოფლიოში ისტორიის ჭეშმარიტ ლოკომოტივად აქცია. მან უშუალოდ დააყენა დღის წესრიგში მშრომელთა მიერ ძალაუფლების აღების საკითხი. ოქტომბრის მძლეთამძლე იდეებმა გიგანტური წარმატება მოიპოვეს. ასრულდა ლენინისა და სტალინის გენიალური შორსმჭვრეტელობა სსრ კავშირის საერთაშორისო გავლენის განუხრელი ზრდის შესახებ. ააშენა რა სოციალიზმი, საბჭოთა ხალხმა სინამდვილედ აქცია მსოფლიო მშრომელების მრავალსაუკუნოვანი ოცნება, იგი უდიდესი მიმზიდველი ძალა გახდა მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის. მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მისალმებანი პარტიის XIX ყრილობისადმი ცხადყოფენ მარქსიზმ -ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების დიად, ცხოველმყოფელ ძალას, სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის წარმატებათა უდიდეს გავლენას მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის განვითარებაზე.

ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვა, წარმოთქმული პარტიის XIX ყრილობაზე წარმოადგენს საბრძოლო პროგრამას მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიებისათვის. დიდი ბელადის შთამაგონებელი სიტყვები ჩვენი სამშობლოს და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების, როგორც მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის „დამკვრელი ბრიგადების“ შესახებ რაზმავს ჩვენს მოძმე ხალხებს ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის საბრძოლველად. ამხანაგ სტალინის სიტყვა ბრძოლისა და გამარჯვების გზას უჩვენებს იმ მოძმე პარტიებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აუღიათ ძალაუფლება და ასეთი პერსპექტივები წინ უდგათ. „ყველა საფუძველი არსებობს,—განაცხადა ამხანაგმა სტალინმა, — გვქონდეს იმედი მოძმე პარტიების წარმატებათა და გამარჯვებისა კაპიტალის ბატონობის ქვეყნებში“.

ლენინ—სტალინის დიადი პარტია, რომელიც განასახიერებს ჩვენი ეპოქის გონებას, დირსებასა და პატიოსნებას, ყოველთვის ღრმა ზეგავლენას ახდენდა და ახდენს მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის მსვლელობაზე. საბჭოთა ხალხი ამაყობს იმით, რომ ლენინისა და სტალინის გენიით შექმნილი საბჭოთა სახელმწიფო მთელი პროგრესული კაცობრიობის ავანგარდში დგას, რომ იგი გზას უკაფავს მსოფლიოს მშრომელებს კომუნიზმისაკენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დადგენილებებში განსაზღვრულია კომუნიზმის მშენებლობის ამოცანა, როგორც მოცემული პერიოდის ძირითადი ამოცანა, — ამაში მდგომარეობს ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა. საბჭოთა ხალხმა მტკიცედ იცის, რომ პარტიის XIX ყრილობის მიერ დასმული დიადი ამოცანების წარმატებით შესრულების საწინდარს წარმოადგენს ბრძნული სტალინური ხელმძღვანელობა, მისი ნათელი გონება და მძლავრი ნებისყოფა.

მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშით, კომუნისტური პარტიის ურყევი ხელმძღვანელობით დიდი საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიემართება წინ, კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ. ჩვენი სამშობლო, როგორც მშვიდობის მტკიცე დასაყრდენი, რაზმავს და ამჭიდროებს თავისუფლებისმოყვარე ხალხებს ერთ საერთო ბანაკად მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში, იმპერიალისტური რეაქციისა და სამხედრო ავანტიურების წინააღმდეგ.

ე. ბურჯულაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საკვლევი ბიბლიოთეკა

ამ უკანასკნელ დროს ამერიკის ზოგიერთი დეპეშათა სააგენტო და ფრანს პრესის სააგენტო ავრცელებენ ცნობებს, ვითომდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის წარმომადგენლებს მოლაპარაკება ჰქონდათ კორეის საკითხზე.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ამგვარი ცნობები ყალბია და მათი მიზანია შეცდომაში შეიყვანონ მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი.

თბილისს ჩამოვიდა ალბანეთის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია

თბილისს ჩამოვიდა ალბანეთის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში სტუმრად არის უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების მოწვევით.

დელეგაციას მეთაურობს ალბანეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და განათლების მინისტრი ბედრი სპახიუ.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ა. ჟღენტი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. კუპრაძე, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მინისტრი ო. ეგაძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ა. თოიძე, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მოქანდაკე თ. ამაკელია და სხვები.

სტუმრები გაეცნობიან საქართველოს სსრ მიღწევებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. (საქდესი).

ბირმა-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დელეგაცია საქართველოში

საქართველოში ექვს დღეს იყო სტუმრად ბირმა-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა ამ საზოგადოების პრეზიდენტი, რანგუნის უნივერსიტეტის პროფესორი უ აუნგ ხლა.

დელეგაციის წევრები გაეცნენ საქართველოს მშრომელთა ცხოვრებას, მათს წარმატებებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ისინი იყვნენ თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, დაათვალიერეს თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაესწრნენ სპექტაკლ „აიდას“. დელეგაცია ეწვია ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს. უნივერსიტეტის რექტორთან პროფესორ ნ. ყეცხოველთან საუბარში სტუმრები დაინტერესდნენ საქართველოში უმაღლესი განათლების დაყენების საკითხებით.

ბირმელი ხალხის წარმომადგენლები გაემგზავრნენ ქალაქ გორში—ამხანაგ სტალინის სამშობლოში და საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში. სტუმრები იყვნენ აგრეთვე აფხაზეთში. აქ ისინი გაეცნენ სუხუმის ღირსშესანიშნაობებს, კურორტ გაგრას, სუხუმის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მუშაობას.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში დელეგაციის პატივსაცემად გაიმართა დარბაზობა.

საქართველოდან გამგზავრების წინ ბირმა-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დელეგაციის მეთაურმა უ აუნგ ხლამ განაცხადა:

— საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს თვალნათლივ დავრწმუნდით, რომ საბჭოთა ხალხი ესწრაფვის ხალხთა მშვიდობასა და მეგობრობას. ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მშენებლობის უდიდესმა გაქანებამ, რაც საბჭოთა ქვეყანაში წარმოებს. ჩვენ ვნახეთ, თუ რა ეკონომიკურ და კულტურულ აყვავებას მიაღწია საბჭოთა საქართველომ. ყველა ხალხს, რომელიც პროგრესს ესწრაფვის, შეუძლია მაგალითი აიღოს საბჭოთა ქვეყნისაგან, საბჭოთა ხალხი მართლაც მშვიდობისმოყვარე ხალხია, რომელიც მთელ თავის ღონისძიებებს მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას ახმარს.

დელეგაცია მოსკოვს გაემგზავრა. აეროდრომზე იგი გააცილეს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების წარმომადგენლებმა, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა. (საქდესი).

ფიტაჟები ნოემბერში

ნოემბერში გაიმართება სახელმწიფო სესხების მოგებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის 29 ოქტომბრის სხდომაზე კორეის საკითხის შესახებ*

„...მეორე ოფიცერმა განაცხადა, რომ აკლია ზოგიერთი ჯარისკაცი, და ოფიცრებმა დაათვალიერეს ეს სექტორი. ვერც ერთი ამერიკელი ჯარისკაცი ვერ იპოვნეს, მაგრამ აღმოჩენილ იქნა რამდენიმე დაჭრილი ტყვე.

ნდობით აღჭურვილმა პირმა დაინახა, თუ როგორ ჭრავდნენ ფეხს ჯარისკაცები გვამებს. გვამები სატვირთო მანქანაში ჩატვირთეს, ამასთან ისინი ქმიმებს არ შეუმოწმებიათ. ნდობით აღჭურვილი პირი ფიქრობს, რომ ზოგიერთი მათგანი, ვინც მკვდრად მიაჩნდათ, ნამდვილად ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ნდობით აღჭურვილ პირს და ამბულატორიაში მყოფ ტყვეებს არ შეეძლოთ დაეთვალათ გვამები. მას შემდეგ, რაც ჯარები წაიყვანეს, ნდობით აღჭურვილმა პირმა ითხოვა, რომ ბანაკის კომენდანტს მიეღო იგი მომხდარი ინციდენტების განსახილველად. კომენდანტმა განაცხადა, 10 საათზე მოვალო, მაგრამ არ დაბრუნებულა“.

წითელი ჯვრის დელეგატებმა თავიანთ მოხსენებაში აღნიშნეს, რომ კუნძულ კოჯედოს ბანაკის 62-ე სექტორში, სადაც ინციდენტები მოხდა 18 თებერვალს, ტყვეები წარმოშობით სამხრეთკორეელები იყვნენ, მაგრამ ტყვედ ჩავარდნენ, როცა ჩრდილოეთ კორეის არმიის რიგებში იბრძოდნენ.

როცა ისინი ამა წლის 8 და 9 თებერვალს ნახეს, მათ სურვილი გამოთქვეს, დროებითი ზავის ხელმოწერის შემდეგ ჩრდილოეთ კორეაში ნუ დაგვაბრუნებთო. ისინი ცნობილ იქნენ სამხრეთ კორეის მოქალაქეებად და მიაკუთვნეს ინტერნირებულ სამოქალაქო პირთა რიცხვს.

მაგრამ უფრო გვიან ამ ტყვეთაგან ზოგიერთმა ითხოვა, რომ დაზავების შემდეგ ჩრდილოეთ კორეაში გაეგზავნათ. ამიტომ ბანაკის ხელისუფლებმა გადაწყვიტეს მოეხდინათ ახალი გადარჩევა, რათა ზუსტად გამოერკვიათ, სახელდობრ ვის სურდა სამხრეთ კორეაში დარჩენა და ვის სურდა ჩრდილოეთ კორეაში გაგზავრება.

ტყვეები ახალი გადარჩევის წინააღმდეგი გახდნენ.

წითელი ჯვრის დელეგატებმა ტყვეებთან საუბარში განაცხადეს, რომ რამდენადაც მათ უკვე მოაწერეს ხელი დოკუმენტს, რომელშიც აღნიშნულია, რომ სურთ სამხრეთკორეელებად ითვლებოდნენ, მათ ხელი უნდა მოაწერონ ახალ დოკუმენტს, რაკი თვალსაზრისი შეიცვალეს. ტყვეების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ისინი მზად არიან გაიარონ მეორე გადარჩევა და ამტკიცებდა, რომ პირველი გადარჩევის დროს მათ ძლიერი ზეგავლენა განიცადეს.

აი სურათი. წითელი ჯვრის მოხსენებაში თუნდაც ყველაფერი ისე რომ არ იყოს ნათქვამი, როგორც ამის გაკეთება სავალდებულო იყო ისეთი ორგანოსათვის, როგორიც ნამდვილად წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტია, ისიც კი, რასაც ეს მოხსენება შეიცავს, საკმაოა იმისათვის, რომ ითქვას: აი ვერდიქტი, გამოტანილი ამერიკის სარდლობისადმი, რომელსაც ბ-ნი აჩესონი ვერსად ვერ გაექცევა და რომელზე დუმილიც მან ამჯობინა. შესაძლებელია ახლა ბ-ნი აჩესონი რამეს იტყვის ამ ვერდიქტზე!

დამახასიათებელია, რომ წითელი ჯვრის კომიტეტის ეს მოხსენება არ ყარუდგეხიათ გენერალური ასამბლეის VII სესიის დელეგატებისათვის, და მას ალბათ ვერავინ გაიგებდა, რომ იგი არ გამოქვეყნებინათ ქენევაში ნაკლებცნობილი ჟურნალის „რევიუ ენტერნასიონალ დე ლა კრუა რუჟის“ აპრილის ნომერში. სად არის ეს მოხსენება? რატომ არ დაურიგდა იგი დელეგატებს? რატომ ვერავინ იცნობს მას? რატომ დამალეს იგი? ვინ უნდა აგოს ამისათვის პასუხი? მე მგონია, რომ ვინმემ უნდა აგოს პასუხი ამისათვის, და საჭიროა პასუხი მოეთხოვოს მას.

ეს მოხსენება საკმაოდ მჭევრმეტყველურად მოწმობს, თუ ეგრეთწოდებული „გამოკითხვის“ რა მეთოდებს ხმარობს ამერიკის სარდლობა, რათა კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეები „იხსნას“, როგორც აქ ბ-ნმა აჩესონმა განაცხადა, მათი ბელადების თვითნებობისა და რეპრესიებისაგან.

აჩესონი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ კორეელმა და ჩინელმა სამხედრო ტყვეებმა გადაწყვიტეს არ დაეშვათ, რომ მოეხდინათ მათი რეპატრიაცია, და ძალით გაეწიათ წინააღმდეგობა სამშობლოში მათი დაბრუნების ყოველგვარი ცდისათვის. გამოდის, რომ 18 თებერვლის განთიადისას ყველამდე შეიარაღებულმა ამერიკელთა ქვეითმა ჯარმა იერიში მიიტანა სამხედრო ტყვეთა კუნძულ კოჯედოზე არსებული ბანაკის წინააღმდეგ, რათა თავდან აეშორებინა კორეისა და ჩინეთის მხარისათვის სამხედრო ტყვეების გადაცემა, მაგრამ ეს სრულიად არ ეთანხმება აჩესონის განცხადებას, რომ ისინი (ე. ი. ამერიკის მთავრობა) ვითომდა „ცდილობდნენ რაც შეიძლება ფრთხილად ყოფილიყვნენ სამხედრო ტყვეების შემოწმების დროს“, ცდილობდნენ ვითომდა „წაექეზებინათ სამხედრო ტყვეები დათანხმებულიყვნენ რეპატრიაციაზე“.

აჩესონი არ მოერიდა იმას, რომ აქ კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების სისხლისღვრა იმით გაემართლებინა, რომ „ძალა საჭირო იყო წესრიგისა და დისციპლინის აღსადგენად“. ბ-ნ აჩესონის ასეთი განცხადება ვერავის გააკვირვებს: იმათგან, ვინც არაადამიანურ ბაქტერიოლოგიურ იარაღს ხმარობს, ვინც სისტემატურად არღვევს საერთო საკაცობრიო მორალისა და საერთაშორისო სამართლის უაღრესად ელემენტარულ მოთხოვნებს, იმათგან არ შეიძლება მოველოდეთ სხვანაირ მოპყრობას უიარაღო სამხედრო ტყვეების მხეცური სისხლისღვრა-სადმიც. შემთხვევითი როდია, რომ 7 მაისს იქვე, კუნძულ კოჯედოზე გამეორდა კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეთა ახალი სისხლისღვრა. გენერალმა კოლსონმა აღიარა, რომ ბანაკში ამ ამბებამდეც იყო სისხლისღვრის შემთხვევები, როცა ბევრი სამხედრო ტყვე დახოცეს და დაჭრეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებმა.

გენერალმა კოლსონმა განაცხადა: „მე ყოველივეს გავაკეთებ, რაც კი შემიძლია, რომ ბოლო მოეღოს ძალადობასა და სისხლისღვრას მომავალში“. გენერალმა კოლსონმა განაცხადა: „შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მომავალში სამხედრო ტყვეებს შეუძლიათ ამ ბანაკში ჰუმანური მოპყრობის იმედი იქონიონ საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანახმად“. გენერალმა კოლსონმა განაცხადა: „შემიძლია გაცნობოთ, რომ გენერალ დოდის უვნებლად განთავისუფლების შემდეგ ალარ იქნება ამ ბანაკის სამხედრო ტყვეების იძულებით გადარჩევა ან ჯარში დაბრუნება, არ იქნება აგრეთვე ნომინალური გადარჩევის მოხდენის არავითარი ცდა“.

ეს აღიარება სავსებით ამტკიცებს იმას, რომ სამხედრო ტყვეთა ბანაკში იყო ამერიკის სარდლობის მიერ იძულებითი გადარჩევის დანაშაულებრივი პრაქტიკა, რაც დაკავშირებული იყო ძალადობასა და მკვლელობასთან, რასაც მიმართავდნენ კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების სამართლიანი პროტესტისა და წინააღმდეგობის ჩასახშობად.

მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის ცნობილია შემაძრწუნებელი დოკუმენტი სახელწოდებით „ჩვენი სიცოცხლე საფრთხეშია, დაგვეხმარეთ“, რაც შეიძლება მალე დავაღწიოთ თავი ამერიკულ ჯოჯოხეთს“—კუნძულ კოჯედოდან სახალხო არმიის მებრძოლებისა და მეთაურების მიმართვა. მთელი ეს დოკუმენტი იმის ღირსია, რომ გულმოდგინედ გავიცნოთ. მე დავჯერდები მხოლოდ ერთ ფაქტს, რომელიც მოყვანილია ამ დოკუმენტში.

1952 წლის 19 მაისს 66-ე ბანაკში გამოცხადებული იყო, რომ „ყველა სამხედრო ტყვე, რომელთაც სურთ ჩრდილოეთ კორეაში დაბრუნება, სადამოს 7 საათისათვის უნდა ჩამწკრივდეს თავის ბარაკებთან და მზად იყოს გემში ჩასაჯდომად. სამშობლოში წასვლის მსურველი აღმოჩნდა უკლებლივ ყველა. როცა ჩვენ ჩავმწკრივდით, ამერიკელმა ჯარისკაცებმა დაგვიშინეს ტყვიამფრქვევები, ნაღმსატყორცნები და ჩვენს წინააღმდეგ ტანკები გამოუშვეს. დაიღუპა 127 ჩვენი ამხანაგი. ბევრი დაიჭრა“.

20 და 21 მაისს, კორეის სახალხო არმიის ათასზე მეტ მებრძოლს დაუძახეს ამერიკის კომენდატურაში დასაკითხავად და ეგრეთწოდებული „თავისუფალი რეპატრიაციის“ შესახებ წინადადების მოსასმენად. ბევრი დაბრუნდა თავპირდასისხლიანებული, დანით დაჭრილი და ზურგზე, ხელებზე და მკერდზე შანთით ამომწვარი სამარცხვინო დაღით.

„22 და 23 მაისს, ამერიკელმა მცველებმა სისხლისმღვრელი რბევა მოახდინეს № 602 და № 72 სექტორებში. ტყვიამფრქვევებითა და გრანატებით დახოცეს 88 ჩვენი ამხანაგი და დაჭრეს 39 კაცი.

23 მაისს № 76 ბანაკში ჩვენს ოთხ პატრიოტს ამერიკელმა ჯალათებმა თავი მოჭრეთეს და ხეზე დაკიდეს ყველა „ურჩის“ დასაშინებლად“.

იმავე დღეს № 16 ბანაკში კიდევ მოკლეს 18 სამხედრო ტყვე.

„როცა ამ წერილს ვწერთ, 24 მაისი ჯერ კიდევ არ დამდგარა, მაგრამ ვიცით, რომ მოგველის ახალი სისხლისღვრა, ახალი წამება, ახალი დაცინვა და აბუჩად აგდება, რადგან ამერიკელმა კომენდანტმა ბოუტნერმა განაცხადა, რომ ჩვენ ძვირად უნდა ვზღოთ დოდის დაკავება და კოლსონის გადაყენება“.

კუნძულ კოჯედოდან გამოგზავნილ ამ წერილს ხელს აწერდა 6.223 სამხედრო ტყვე.

მაგრამ მარტო ბოუტნერი როდი იმუქრება შემდგომ რეპრესიებს. კუნძულ კოჯედოზე ივნისში ჩასულმა გენერალმა მარკ კლარკმა განაცხადა, რომ ამერიკის სარდლობა მზად არის სამხედრო ტყვეთა წინააღმდეგ იხმაროს მთელი ძალა და რომ მას არ მოსწონს, რომ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში კომუნისტური ალმები ფრიალებენ.

ბ-ნ აჩესონს ყველა ეს ამბავი არ აცბუნებს. ასეთი შემზარავი, მხეცური მოპყრობა სამხედრო ტყვეებისადმი, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ეგრეთწოდებული „გამოკითხვის“ თუ „გადარჩევის“ წინააღმდეგ, რაც ტყვეობაში სამხედრო ტყვეთა იძულებით დაკავებას ნიშნავს, აჩესონი ცდილობს დაგვიხატოს როგორც ბუნებრივი, კანონიერი და ჰუმანური საქმეც კი.

ყველა ეს მოვლენა მოწმობს კიდევ ერთ უეჭველ ფაქტს — იმ მტკიცე ერთიანობას, რაც გამეფებულია კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეთა შორის, მოწმობს მათს მამაცობასა და გმირობას, რასაც ვერ გატეხს ვერავითარი უაღრესად დრაკონული ღონისძიება, რომლის მიზანია დაიყოლიოს კორეელი და ჩინელი პატრიოტები უღალატონ თავიანთ საქმეს, თავიანთ სამშობლოს.

ბ-ნ აჩესონის ყოველი ცდა — გაამართლოს თავაშვებული თვითნებობა და ძალადობა უიარაღო კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების მიმართ ამერიკის ბანაკებში, ქარწყლდება იმ ფაქტების წინაშე, რომელთა მიჩქმალვა არ შეიძლება და რომლებიც ღაღადებენ ამ ბანაკებში ჩადენილი დანაშაულის საშინელებას. ამერიკის პრესის უკანასკნელი ცნობები მოწმობენ ახალ დახვრეტას ჩეჯუდოს კუნძულზე, სადაც 1 ოქტომბერს 52 სამხედრო ტყვე მოკლა და 113 კაცი დაჭრა ამერიკელ ჯარისკაცთა ორმა ოცეულმა, რომლებიც იქ ჩავიდნენ იმ, როგორც „ნიუიორკ ტაიმსი“ იუწყება, სამხედრო ტყვეთა აჯანყების ჩასაქრობად, რომელიც ყველაზე სერიოზული იყო კორეის ომის განმავლობაში. ამერიკის პრესის ცნობით, ამბოხების მიზეზი ნათელი არ არის, მაგრამ ცხადია, რომ ეს მოხდა იმ დროს, როცა ჩინელები დღესასწაულობდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მესამე წლისთავს. 24 ოქტომბერს, ასოშიეიტედ პრესის ცნობით, პუსანის № 2-ბ ბანაკში დაჭრეს 9 კომუნისტი სამხედრო ტყვე. გენერალ კლარკის შტაბბინის განცხადებით, ინციდენტის საფუძველი იყო სამხედრო ტყვეთა ლიდერების გადაყვანა სხვა ბანაკში.

განა ეს ფაქტები საკმაო მჭევრმეტყველებით არ მოწმობენ იმას, რომ სრულიად უსაფუძვლოა აჩესონის მიერ სამხედრო ტყვეთა ეგრეთწოდებული „გადარჩევის“ თუ „გამოკითხვის“ გასამართლებლად მოყვანილი მოსაზრებანი?

ზემოაღნიშნული ბოროტმოქმედება როგორმე რომ გაემართლებინა, ბ-ნი აჩესონი აქ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხში შეესაბამება საერთაშორისო სამართალს და საერთაშორისო პრაქტიკას. ბ-ნი აჩესონი ძალიან ცდილობდა გაემართლებინა დამტყვევებელი მხარის მიერ სამხედრო ტყვეთა იძულებით დაკავება იმ საბაბით, რომ მათ არა სურთ სამშობლოში დაბრუნება. ბ-ნი აჩესონი ცდილობდა პირველი კომიტეტისა და საზოგადოებრივი აზრის ყურადღება რეპატრიაციის დროს იძულებითი გადარჩევის შეუწყნარებლობის საკითხიდან გადაეტანა „ნებაყოფლობითი რეპატრიაციის“ საკითხზე.

ბ-ნი აჩესონი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაში ამჟამად პრობლემას წარმოადგენენ ის სამხედრო ტყვეები, რომლებსაც არა სურთ სამშობლოში დაბრუნება. მაგრამ ეს სწორი არ არის. პრობლემას, როგორც აჩესონმა თქვა, წარმოადგენს ამერიკის სარდლობის ცდა — კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეებს **უარი ათქმევინოს რეპატრიაციაზე**, უარი ათქმევინოს **იძულებითი** გადარჩევის დანმარებით.

ბ-ნმა აჩესონმა აღიარა, რომ მეტწილ ბანაკებში ამერიკის სარდლობამ ვერ განახორციელა გამოკითხვა სამხედრო ტყვეთა წინააღმდეგობის გამო. მიუხედავად ამისა, ამერიკის ხელისუფლები კვლავ დაჟინებით ამბობენ, რომ დამტყვევებელი მხარე ვალდებული არ არის დააბრუნოს ყველა სამხედრო ტყვე და რომ მას შეუძლია მოახდინოს იმათი „გადარჩევა“, ვისაც არა სურს რეპატრიაცია, მათ მიმართ იხმაროს ეგრეთწოდებული „გამოკითხვა“ თავისი მიხედულებით და იმ ფორმებით და იმ მეთოდებით, რომლებიც ჩვენ უკვე ვნახეთ კოჯედოს, ჩეჯუდოს, პუსანისა და სხვა ადგილების ბანაკების მაგალითით.

ბ-ნი აჩესონი ამტკიცებდა, რომ ეს სავსებით ეთანხმება საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო პრაქტიკის პრინციპებს. ამასთან ერთ საკითხს იმის შესახებ, რომ საერთაშორისო სამართალი არ იწყნარებს იძულებითი გამოკითხვის თუ გადარჩევის გამოყენებას, რადგან ეს საქმით ნიშნავს სამხედრო ტყვეთა იძულებით დაკავებას, ცვლიან საკითხით იმის შეუწყნარებლობის შესახებ, რომ სამხედრო ტყვეები ძალით დააბრუნონ თავიანთ მხარეში. ბ-ნმა აჩესონმა ვერ მოიყვანა და ვერც მოიყვანს იმის ვერცერთ დამტკიცებელ საბუთს, რომ საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო პრაქტიკა თითქოს იწყნარებს ასეთ იძულებით ვადარჩევას, რომლის მიზანია ხელი შეუშალოს სამხედრო ტყვეებს განახორციელონ და ისარგებლონ სამშობლოში დაბრუნების თავიანთი უფლებით და შესაძლებლობით. ის გამოკითხვა, რომელსაც ახორციელებენ, — იძულებითი გამოკითხვა თუ გადარჩევა, — საქმით ნიშნავს მხოლოდ **სამხედრო ტყვეთა იძულებით დაკავებას.** მან მოითხოვა განვიხილოთ ეს საკითხი და ამტკიცებდა, თითქოს ამერიკის მხარე იცავს ჟენევის კონვენციის ჰუმანიტარულ პრინციპებს და რომ ამერიკის მხარის პოზიცია რეპატრიაციის საკითხში სავსებით ეთანხმება აღნიშნულ კონვენციას. ჩვენ მზად ვართ განვიხილოთ ეს საკითხი, დავამტკიცოთ, რომ ამერიკის მხარის პოზიცია არათუ არ ეთანხმება ჟენევის კონვენციას, არამედ უხეშად ეწინააღმდეგება ჟენევის კონვენციისა და საერთაშორისო პრაქტიკის მოთხოვნებს, პრაქტიკისა, რაც ემყარება ამ კონვენციის პრინციპებს, და არა მარტო 1949 წლის კონვენციის, არამედ აგრეთვე 1929 წლის კონვენციის, ჰააგის 1907 წლის კონვენციისა და ამერიკის შეერთებული შტატების საკუთარი პრაქტიკის მოთხოვნებს, როგორც ამას დავინახავთ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ხელმოწერილ მთელ რიგ ხელშეკრულებათა ანალიზით.

მაშ განვიხილოთ ეს საკითხი.

ჩვენი აზრით საჭიროა ეს საკითხი განვიხილოთ, სამი თვალსაზრისით — მორალური, პოლიტიკური და იურიდიული თვალსაზრისით.

1. მორალური თვალსაზრისით ეს საკითხი ამოიწურება იმით, რომ საჭიროა ვიხელმძღვანელოთ სამხედრო ტყვის ნების თავისუფალი გამოცხადების ან თავისუფალი ნების პრინციპით. მაგრამ არ შეიძლება ეს საკითხი გადაიჭრას იმ ვითარების უგულებელყოფით, რომელშიც შეიძლება გამოიხატოს ეს „თავისუფალი ნება“, მთელი იმ პირობებისა და გარემოებათა უგულებელყოფით, რომლებშიც და რომელთა გავლენითაც შეიძლება ჩამოყალიბდეს ეს ნება, შეიძლება მიღებულ იქნას ესა თუ ის გადაწყვეტილება. ამიტომ ამასთან დაკავშირებით წარმოშობილი პირველი საკითხია ის, იძლევა თუ არა ტყვეობა და სამხედრო ტყვის მდგომარეობა იმის აუცილებელ პირობებს, რომ სამხედრო ტყვეებს შეეძლოთ მიიღონ ყოველგვარი გავლენისაგან თავისუფალი გადაწყვეტილება ამ საკითხზე. საკმაოა დაისვას ეს საკითხი, რომ სრულიად ცხადი გახდეს უარყოფითი პასუხი, რადგან ტყვეობის პირობები არ წარმოადგენენ თავისუფალი არჩევანისა და თავისუფალი გადაწყვეტილების შესაფერის წინაპირობას განსაკუთრებით მაშინ, როცა იძულებული არიან ასეთი გადაწყვეტილება ტყვიამფრქვევის მუქარით მიიღონ.

აქსიომაა, რომ სამხედრო ტყვეები ადვილად შეიძლება გახდნენ მსხვერპლი მათი დამტყვევებელი სახელმწიფოს ხელისუფალთა უკანონო ზეგავლენისა და ხშირად, როგორც ამას ცხადყოფს კორეაში ამერიკელთა ბანაკებში მომხდარი ამბები, ფიზიკური იძულებისა და ძალადობის მსხვერპლი, რის გამო თავისუფალი ნების საკითხის დასმაც შეუძლებელი ხდება.

აი ამიტომ მორალის პრინციპების თვალსაზრისით აბსოლუტურად უნდა გამორიცხოს იმის წადილი, რომ სამხედრო ტყვეებს აღიარებინონ — სურთ თუ არა სამშობლოში დაბრუნება. ბ-ნმა აჩესონმა განაცხადა, რომ არსებობს ჩვეულებრივი ვარაუდი, რომ სამხედრო ტყვეს სურს შინ დაბრუნება. ასეთ შემთხვევაში საკითხავია, რაღა იწვევს რაიმე გამოკითხვის საჭიროებას თითქოს იმის შესამოწმებლად — აქვს თუ არა სამხედრო ტყვეს შინ დაბრუნების სურვილი? ცხადია, რომ ასეთი რამ საჭირო არ არის და არც შეიძლება საჭირო იყოს.

2. პოლიტიკური თვალსაზრისით სამხედრო ტყვეთა რაიმე გამოკითხვა თუ გადარჩევა ანდა, როგორც ამბობენ, მათი კლასიფიკაცია იმ თვალსაზრისით, რომ თანახმა არიან თუ არა დაბრუნდნენ სამშობლოში, აგრეთვე ვერ უძლებს კრიტიკას, რადგან ასეთმა პროცედურამ ადვილად შეიძლება მიიღოს და პრაქტიკაში ხშირად იღებს პროვოკაციულ ხასიათს, იწვევს მნიშვნელოვან პოლიტიკურ შედეგებს, ძირს უთხრის დაინტერესებულ სახელმწიფოთა ნორმალური ურთიერთობის ძირითად პრინციპს, სუვერენული თანასწორობისა და მათი იმ პოლიტიკური უფლებებისადმი ურთიერთპატივისცემის პრინციპს, რომლებიც შეეხებიან როგორც შინაპოლიტიკურ, ისე საგარეოპოლიტიკურ ურთიერთობას.

არის იმის მრავალი მაგალითი, რომ ეგრეთწოდებული გამოკითხვის თუ გადარჩევის მიზანია ეს სამხედრო ტყვეები გამოიყენონ მათი საკუთარი მთავრობების წინააღმდეგ, მათი სამშობლოს ინტერესების წინააღმდეგ საბრძოლველად. 1914-1918 წლების მსოფლიო ომის დამთავრების პირველ წლებში იყო ცდა — საბჭოთა სახელმწიფოსადმი მტრული მიზნებით გამოეყენებინათ რუსი სამხედრო ტყვეები, რომლებიც ომის შემდეგ დარჩნენ საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, ავსტრია-უნგრეთში და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში.

1920 წელს საფრანგეთის მთავრობა იღებდა აქტიურ ღონისძიებებს, რათა რუსი სამხედრო ტყვეები შეეგროვებინა თეთრგვარდიელთა ბანდების რიგებში და უიარაღო სამხედრო ტყვეთა წინააღმდეგ იყენებდა უაღრესად უხეშ თვითნებობას და სასტიკ ძალადობას, რაც ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთის მთავრობის თავდაპირველ თანხმობას—რაიმე პირობის წამოუყენებლად მოეხდინა საფრანგეთში მყოფი ყველა რუსი ტყვის რეპატრიაცია.

რუსეთის სფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრისა და უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის 1919 წლის 29 ივლისის ნოტაში აღნიშნულია ის ფაქტი, რომ მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საფრანგეთში დარჩენილ რუს ჯარისკაცებს უპირებდნენ დენიკინთან გაგზავნას, რათა მათ ებრძოლათ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, ამასთან ამას სჩადიოდნენ სხვადასხვა საბაბით, რომლებიც საბჭოთა ნოტამ სამართლიანად დაგმო როგორც მისწრაფება—სამხედრო ტყვეები გაეხადათ „გაცვლის, ყიდვა-გაყიდვის საგანი, როგორც ბაზარში“.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ მილიერანის 1920 წლის 26 აგვისტოს რადიოდეპეშაში საბჭოთა მთავრობისადმი საფრანგეთის მთავრობამ პირდაპირ შემდეგი განაცხადა: „ცნობად მივიღეთ თქვენ მიერ ბ-ნ ნანსენისათვის გაკეთებული განცხადება და თქვენი თანხმობა საფრანგეთის მთავრობის წინადადებაზე — რაც შეიძლება მალე დამთავრდეს რუსეთში მყოფი ყველა ფრანგი ტყვის გაცვლა. საფრანგეთში მყოფ ყველა რუს ტყვეში“.

ამ საქმეში ჩარეული აღმოჩნდა აგრეთვე ბულგარეთის მეფის მთავრობა. 1920 წლის 29 მარტს ვარნის საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც მოთავსებული იყვნენ რუსი ტყვეები, ჩავიდა ბულგარეთის სამსახურის პოლკოვნიკი ნაკოვი და ტყვეებს განუცხადა, რომ ისინი უნდა გაემგზავრონ ყირიმში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებული ყოფილი გენერლის ვრანგელის არმიაში შესასვლელად. დაპატიმრებულმა სამხედრო ტყვეებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ ბანაკს გარს შემოერტყნენ საფრანგეთისა და ბულგარეთის ჯარების რაზმი და ბულგარეთის ცხენოსანი პოლიცია; სამხედრო ტყვეებს დაუმიზნეს ტყვიამფრქვევები და მათი უმრავლესობა, იმათ გარდა, ვინც გაქცევით გადარჩა, დახვრეტის მუქარით გემში ჩასვეს და ყირიმში გაგზავნეს.

არ შეიძლება არ დავიმოწმოთ აგრეთვე რუსეთის სფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ნოტა საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიისა და იტალიის მთავრობებისადმი 1919 წლის 28 ნოემბერს, როცა რუსი ტყვეების სამშობლოში დაბრუნების ეგრეთწოდებული სამოკავშირეთშორისო კომისია ფაქტიურად გადაიქცა კომიტეტად, რომელიც კონტრრევოლუციური ბანდებისათვის — რუსი ხალხის მტრებისათვის აგროვებდა მეომრებს. საბჭოთა მთავრობამ უაღრესად მტკიცე პროტესტი განაცხადა მაშინ ამ უკანონობის წინააღმდეგ და ამ მთავრობებს დააკისრა მთელი პასუხისმგებლობა იმ რუსი სამხედრო ტყვეების ბედისათვის, რომლებსაც აღნიშნული მთავრობები უპირებდნენ მათი ძმების წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნას. საბჭოთა მთავრობამ მაშინ გააფრთხილა აღნიშნული მთავრობები, რომ იგი იტოვებს უფლებას მიიღოს საწინააღმდეგო საჭირო ღონისძიებანი და მოაგონა მათ, რომ მის ხელში არიან ანტანტის ქვეყნების ოფიცრები, ბევრი გერმანელი სამხედრო ტყვე, რაც საბჭოთა მთავრობას გაუადვილებს ისეთ სამაგიერო ღონისძიებათა მიღებას, რომლებიც გამოწვეულია რუსეთის ხალხის მასების სასიცოცხლო ინტერესებით.

ამ შემთხვევაში თეორიების მოყვარულთაც მხედველობაში ჰქონდათ სამხედრო ტყვეთა თავისუფალი ნება, თითქოს ამ ტყვეებს არ სურდათ რეპატრიაცია, თითქოს ისინი ამჯობინებდნენ კაპიტალისტური სამყაროს ეგრეთწოდებულ „თავისუფალ“ ქვეყნებში დარჩენას. ნამდვილად კი ყველა ასეთი შემთხვევის სარჩული იყო მისწრაფება — სამშობლოში არ გაეშვათ რუსი სამხედრო ტყვეები, რათა შეეყვანათ ისინი ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მტრების — დენიკინის, ვრანგელის, კოლჩაკის, იუდენიჩისა და სხვ. არმიის რიგებში.

ეჭვი არ არის, რომ კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების გაცვლის საკითხში მეორდება იგივე ისტორია, როცა იმ საბაბით, რომ თითქოს თვით სამხედრო ტყვეებს არა სურთ სამშობლოში დაბრუნება, ამერიკის სარდლობა ცდილობს დააკავოს კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეები, რათა ისინი გადაიყვანოს ფორმოზაზე და სამხრეთ კორეაში იმ მიზნით, რომ გამოიყენოს ისინი მათი სამშობლოს წინააღმდეგ საბრძოლველად.

3. შეეხო რა იურიდიულ მოსაზრებებს, ბ-ნი აჩესონი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ამ საკითხში მთლიანად და სავსებით შეესაბამება საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო პრაქტიკას.

ბ-ნმა აჩესონმა საჭიროდ მიიჩნია ყურადღება მიექცია ზოგიერთი ხელშეკრულებისათვის, რომლებსაც საბჭოთა კავშირის მთავრობამ ხელი მოაწერა რევოლუციის პირველ წლებში, მან დაასახელა საბჭოთა მთავრობის 1918-1920 წლების მთელი რიგი შეთანხმებანი, რომლებითაც ჩანს, რომ საბჭოთა მთავრობა, როგორც ბ-ნი აჩესონი ამტკიცებდა, ამ ხელშეკრულებებში მტკიცედ არ მოითხოვდა იმ სამხედრო ტყვეების რეპატრიაციას, რომლებიც მოისურვებდნენ დარჩენას დამტყვევებელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მაგრამ ბ-ნმა აჩესონმა თავისი ამოცანა წარმოიდგინა უფრო ადვილად, ვიდრე იგი ნამდვილად მისთვის აღმოჩნდა. დაიწყო რა აღნიშნულ შეთანხმებათა ანალიზი, მან მხედველობაში არ მიიღო მაშინდელი პირობები, მაშინდელი სინამდვილე. მას თვალწინ ჰქონდა მხოლოდ ხელშეკრულებათა ტექსტები, იურიდიული ფორმულები, მაგრამ სრულიად დაავიწყდა ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელმაც წარმოშვა ეს ტექსტები და მათ დაასვა მაშინდელი დიდი ამბების, ერთმანეთის საწინააღმდეგო პოლიტიკური კონცეფციებისა და მიმართულებების ბრძოლის, სოციალური და კლასობრივი ინტერესების ბრძოლის ბეჭედი.

შეთანხმებანი, რომლებზეც ბ-ნი აჩესონი ლაპარაკობდა, იყო მხოლოდ ამ ბრძოლის შედეგი და, ბუნებრივია, მათ ჰქონდათ და არც შეიძლებოდა არა ჰქონოდათ ერთგვარი კომპრომისის ბეჭედი. არ შეიძლება ეს გავუშვათ მხედველობიდან, რადგან შეუძლებელია სწორად შევაფასოთ ესა თუ ის ისტორიული დოკუმენტი, თუ მას ამოვგლეჯთ ისტორიული ამბების მთელი კონტექსტიდან, წავართმევთ მას მატერიალურ, სინამდვილის შინაარსს. იმ ძირითადი პრინციპების გასაგებად, რომლებითაც საბჭოთა მთავრობა ხელმძღვანელობდა, როცა მოამზადა და დადო სამივე ეს ხელშეკრულება, კერძოდ იმ ნაწილში, რომელიც სამხედრო ტყვეების საკითხს ეხება, ხელშეკრულებანი, რომლებსაც ბ-ნი აჩესონი იმოწმებდა, საჭირო იყო იმ დროის, იმ ეპოქის მოვლენათა მსვლელობისა და პირობების ანალიზი; საჭირო იყო ამა თუ იმ დიპლომატიური დოკუმენტის და, კერძოდ, საბჭოთა მთავრობის მიერ იმ წლებში დადებულ შეთანხმებათა შინაარსი და ხასიათი შეფასებულიყო საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის თავისებურებათა თვალსაზრისით და სხვა იმ სახელმწიფოებთან მისი ურთიერთობის თვალსაზრისით, რომლებიც მაშინ ისახავდნენ ყველასათვის ცნობილ მიზანს—ჩაეხრჩოთ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა. საჭირო იყო კი არ დასჯერებოდა მარტო ამ შეთანხმებათა განხილვას, არამედ ყურადღება მიექცია აგრეთვე სხვა დოკუმენტებისთვისაც, რომლებიც ასახავენ საბჭოთა რუსეთის მაშინდელ პოლიტიკურ და საერთაშორისო მდგომარეობას. მაშინ შეიძლებოდა თავიდან აშორება ნაჩქარევი და დაუსაბუთებელი დასკვნებისა, რომლებიც შეეხება შეთანხმებებს, ბ-ნი აჩესონი რომ იმოწმებდა თავის 24 ოქტომბრის გამოსვლაში.

როგორც ბ-ნ აჩესონის გაგება შეიძლებოდა, სამხედრო ტყვეთა გაცვლის შესახებ საბჭოთა მთავრობის ზემოაღნიშნულ შეთანხმებათა დამოწმებით იგი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ საბჭოთა მთავრობა უცვლელად იცავდა ერთ პრინციპს—სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის სურვილის, რო

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის 29 ოქტომბრის სხდომაზე კორეის საკითხის შესახებ

(დ ა ს ა ს რ უ ლ ი)

კერზონმა უარყო საერთო გაცვლის ეს გეგმა, რომელიც ვრცელდებოდა ყველა მოკავშირეზე, და მოითხოვა გაეცვალათ ოფიცრები და ჯარისკაცები კაცი კაცში, ხოლო შემდეგ იმავე პრინციპით მოეხდინათ სამოქალაქო სამხედრო ტყვეების გაცვლაც.

თუ გულმოდგინედ განვიხილავთ აღნიშნულ ნოტებს, არ შეიძლება თვალში არ გვეცეს, რომ ამ ნოტებში საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისით ლაპარაკიც არ არის მხოლოდ იმ სამხედრო ტყვეების გაცვლაზე, რომლებიც რეპატრიაციის სურვილს გამოთქვამდნენ.

ბ-ნმა აჩესონმა ახსენა საფრანგეთთან რუსეთის სფსრ 1920 წლის 20 აპრილის შეთანხმება. მაგრამ ის რომ უფრო სერიოზულად მოჰკიდებოდა ამ საკითხს და არა პირდაპირ დანდობოდა თავის მდივნებს, რომლებმაც მას, როგორც ჩანს, ისე შეუდგინეს შესაბამისი ცნობა, რომ ღრმად არ ჩასწვდომიან ამ საკითხებს, მას ყურადღება უნდა მიექცია რუსეთის სფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის 1919 წლის 29 ივლისის რადიოდეპეშისათვის საფრანგეთის მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრ პიშონისადმი, რომელმაც განაცხადა, რომ „მისი განზრახვა სამშობლოში დააბრუნოს რუსები აბსოლუტურია და დამოუკიდებელია საბჭოებთან ყოველგვარი მოლაპარაკებისაგან და რომ საფრანგეთის მთავრობა ავტონომიურად განაგრძობს სამშობლოში მათ გაგზავნას“, სხვანაირად რომ ვთქვათ, თავს არ შეიბოჭავს რაიმე პირობით, სხვანაირად რომ ვთქვათ, აღიარებს **ყველა** სამხედრო ტყვის რეპატრიაციის პრინციპს რაიმე გადარჩევის გამოუყენებლად. ამას სავსებით დაეთანხმა საბჭოთა მთავრობა. შემდგომ რადიოგრამებში ამ საკითხზე საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაიმეორა ეს დაპირება, ისე რომ სრულიად არ უხსენებია გაცვლის რაიმე პირობა. მაგრამ პიშონის მთავრობამ არ შეასრულა თავისი დაპირება, რამაც საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მხრივ გამოიწვია სამართლიანი საყვედური საფრანგეთის მთავრობის მიმართ იმაზე, რომ შემდგომმა გარემოებებმა, კერძოდ, ისეთმა გარემოებებმა, რომლებიც ეხებოდა საფრანგეთიდან რეპატრირებული რუსი ჯარისკაცების გადასხმას, ცხადყო, როგორც ნოტაშია ნათქვამი, რომ „საფრანგეთის ახლანდელი მთავრობისაგან მოსალოდნელი არ იყო კეთილშობილებისა და მადლიერების უაღრესად ელემენტარული გრძნობის გამოჩენა და რომ მის საქვეყნო განცხადებასა და დაპირებას, თუნდაც მრავალგზის გამეორებულს, არავითარი ფასი არა აქვს“.

საქმე ის არის, რომ პიშონმა, რომელიც იძლეოდა დაპირებას დაებრუნებინა სამშობლოში რუსი სამხედრო ტყვეები „აბსოლუტურად და ყოველგვარი მოლაპარაკებისაგან დამოუკიდებლად“, ე. ი. ყოველგვარი პირობისაგან დამოუკიდებლად, ამასთან ამ სამხედრო ტყვეების ნაწილი მოეყვანა ოდესის ნავსადგურში, მათი ნაპირზე გადასხმა განაპირობა იმით, რომ საფრანგეთის მთავრობისათვის გადაეცათ ფრანგი სამხედრო ტყვეები, რომლებიც საბჭოთა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს უკრაინის ტერიტორიაზე, აგრეთვე ყველა უცხოელი, მათ შორის ნეიტრალური მოქალაქეებიც კი, ამასთან იმუქრებოდა, რომ თუ ეს პირობები არ შესრულდებოდა, რუს ჯარისკაცებს გაუგზავნიდნენ დენიკინს, გაძლიერებდნენ შავი ზღვის სანაპიროს ბლოკადას და სროლას აუტეხდნენ ოდესას.

საბჭოთა მთავრობა ამ შემთხვევაშიც ერთგულად და თანმიმდევრულად იცავდა თავის თვალსაზრისს, სამხედრო ტყვეების გაცვლას არ უკავშირებდა რაიმე პირობას. ამასთან იგი იმის წინააღმდეგი იყო, რომ საფრანგეთის ხელისუფლებს შანტაჟი გაეწიათ ტანჯული და განაწამები რუსი ჯარისკაცების გამოყენებით, რომლებიც საფრანგეთიდან ბრუნდებოდნენ.

მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებენ, რომ თავისთავად აჩესონის მიერ ციტირებული ცალკეული პუნქტები სამხედრო ტყვეების გაცვლის შესახებ შეთანხმებებისა, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ დადო ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პირველ წლებში, არ აძლევნებდნენ საბჭოთა მთავრობის პრინციპულ პოზიციას ამ საკითხში. ზემონათქვამიდან ცხადია, რომ ეს შეთანხმებანი იმ დროს შექმნილ გარემოებათა შედეგი იყო, როცა საბჭოთა რუსეთი, ძალას იკრებდა რა იმ სიძნელეთა დაძლევისათვის მძიმე ბრძოლაში, რომლებიც გზას უღობავდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, სხვა სახელმწიფოებთან თავის ურთიერთობაში, კერძოდ, სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის საკითხზე მათს მოთხოვნებთან დაკავშირებით, ისეთ გადაწყვეტილებებს ირჩევდა, რომლებიც ნაკარნახევი იყო შექმნილი ისტორიული პირობებით.

ბ-ნმა აჩესონმა დაიმოწმა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება. მაგრამ, უეჭველია, მან იცის, რომ საბჭოთა მთავრობა იძულებული იყო ხელი მოეწერა ამ ხელშეკრულებისათვის, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მძარცველური, ძალმომრეობითი და სძაგელი ხელშეკრულებაა. უკვე მარტო ეს მოითხოვდა სიფრთხილის გამოჩენას ასეთ წყაროებზე დამყარებული დასკვნების გამოტანაში.

მაშ რა პრინციპი მოქმედებს საერთაშორისო სამართალში? ეს პრინციპი, როგორც ეს ნათქვამია მთელ რიგ საერთაშორისო კონვენციებში, მაგალითად, ჰააგის კონვენციის მე-20 მუხლში, გვეუბნება: „ზავის დადების შემდეგ სამშობლოში სამხედრო ტყვეების გაგზავნა უნდა მოხდეს რაც შეიძლება მოკლე ვადაში“.

ან სამხედრო ტყვეების შესახებ ჟენევის 1929 წლის კონვენციის 75-ე მუხლში, რომელშიც ნათქვამია: „ყოველ შემთხვევაში ტყვეების რეპატრიაცია მოხდება უმოკლეს ვადაში ზავის დადების შემდეგ“.

ან ჟენევის 1949 წლის კონვენციის 118-ე მუხლში, რომელშიც ნათქვამია: „სამხედრო ტყვეების განთავისუფლება და რეპატრიაცია მოხდება საომარი მოქმედების შეწყვეტისთანავე“.

ეს მუხლი სავსებით კატეგორიული ხასიათისაა, როგორც ეს ჩანს შემდეგი აბზაციდან, სახელდობრ:

„თუ ერთმანეთთან კონფლიქტის მქონე მხარეების მიერ ომის შეწყვეტის მიზნით დადებულ შეთანხმებაში ამ საკითხზე დადგენილებანი არ არის ან თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, თვითეული სახელმწიფო, რომელსაც ტყვეები ჰყავს, თვითონ შეადგენს და დაუყოვნებლივ შეასრულებს რეპატრიაციის გეგმას წინა აბზაცში ჩამოყალიბებული პრინციპის თანახმად“.

უნდა ითქვას, რომ ეს 118-ე მუხლი სრულიად უეჭველს ხდის, რომ დაინტერესებულ სახელმწიფოთა ორმხრივი შეთანხმებებით გათვალისწინებული სხვა დებულებანი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეასუსტებენ აღნიშნული საერთაშორისო კონვენციის მოქმედებას.

იგივე მუხლი ითვალისწინებს, რომ სამხედრო ტყვეების გადაყვანის ხარჯებისათვის ანგარიშის გასწორების შესახებ შეთანხმებათა უქონლობა „სრულიადაც ვერ გაამართლებს სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის სულ მცირე დაყოვნებასაც კი“. ერთადერთ შენიშვნას, რომელიც ითვალისწინიბს გამონაკლისს აღნიშნული წესიდან, შეიცავს იმ კონვენციის 119-ე მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია იმ სამხედრო ტყვეების დაკავების შესაძლებლობა, რომელთა წინააღმდეგაც აღძრულია სისხლის სამართლის დევნა სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, ან რომლებიც უკვე მსჯავრდადებული არიან სისხლის სამართლის დანაშაულისათვის.

ამ კონვენციის ყველა დადგენილების კატეგორიულობას ცხადყოფს ჟენევის 1949 წლის კონვენციის მე-7 მუხლიც, რომელშიც ნათქვამია:

„სამხედრო ტყვეები ვერავითარ შემთხვევაში ვერ იტყვიან უარს, ნაწილობრივ თუ მთლიანად, იმ უფლებებზე, რომლებსაც მათთვის უზრუნველყოფენ ეს კონვენცია და წინა მუხლით გათვალისწინებული სპეციალური შეთანხმებანი, თუ ასეთები არსებობს“.

ეს მუხლი არავითარ დასაძვრენს არ ტოვებს, რათა თავი იმართლონ სამხედრო ტყვეების ტყვედ დაკავებაში იმ საბაბით, რომ ამ სამხედრო ტყვეებს თითქოს თვითონ არა სურთ რეპატრიაცია. ჟენევაში 1949 წლის საერთაშორისო კონფერენციაზე ბრძოლა მიმდინარეობდა ავსტრიის დელეგაციის წინადადების განხილვისას, წინადადებისა, რომელიც მოითხოვს, რომ აღიარებულ იქნას სამხედრო ტყვის უფლება—უარი თქვას სამშობლოში დაბრუნებაზე. საბჭოთა დელეგაცია მაშინ გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა ამას. და უნდა ვთქვათ, რომ ამერიკის დელეგაციის სასახელოდ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა გენერალმა პარკერმაც ავსტრიის წინადადების წინააღმდეგ მისცა ხმა სსრ კავშირის წარმომადგენელთან და კონფერენციის უმრავლესობასთან ერთად.

არ შემძლია არ მოვაგონო ბ-ნ ლოიდსაც, რომ ინგლისის წარმომადგენელმა ჟენევის 1949 წლის კონფერენციაზე განაცხადა: უგუნურება იქნებოდა ასეთი შესწორების მიღება, რადგან იმ სახელმწიფოს ვალდებულებანი, რომლის ხელშიც იმყოფებიან სამხედრო ტყვეები, შეზღუდულ უნდა იქნას სამხედრო ტყვეების იმ ქვეყანაშივე გაგზავნით, რომლის სამსახურშიც ისინი იმყოფებოდნენ დატყვევების მომენტში. ავსტრიის შესწორება უარყო კონფერენციის უმრავლესობამ.

აი საერთაშორისო სამართალში გაბატონებული წესი, რომლის შესახებ ბ-ნ აჩესონს ერთი სიტყვაც არ უთქვამს, თუმცა თითქმის 3 საათი მოანდომა თავისი პოზიციის ჩამოყალიბებას,—ცდილობდა რა გაემართლებინა ის თვითნებობა და უკანონობა, რასაც ამერიკის სარდლობა იჩენს კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების მიმართ, რითაც არღვევს საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო პრაქტიკის ყველა ელემენტარულ პრინციპს.

ამასვე მოწმობს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაც „სამხედრო ტყვეების პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის ღონისძიებათა შესახებ“. ცნობილია, რომ ეს რეზოლუცია საბჭოთა კავშირისადმი მტრულ მიზნებს ისახავდა, როგორც ეს თავის გამოსვლაში დაადასტურა აჩესონმაც. მაგრამ რადგან ამ რეზოლუციაში დასმულია სამხედრო ტყვეების გაცვლის საერთო საკითხი, ბ-ნი აჩესონი ვერ უარყოფს, რომ ეს რეზოლუცია პირდაპირ აბათილებს იმ დებულებებს, რომლების დაცვაც მან აქ სცადა, მოითხოვა რა ყველა სახელმწიფოსაგან, რომ მათ ემოქმედნათ საერთაშორისო ურთიერთობის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და ჟენევის 1949 წლის კონვენციის შესაბამისად, და არავითარ შენიშვნას არ აკეთებს ნებაყოფლობითობის შესახებ, რასაც უმთავრესად ეყრდნობოდა ბ-ნი აჩესონი თავის გამოსვლაში.

ნუთუ საკმარისი არ არის მთელი ეს ფაქტები და მონაცემები, რათა, ბოლოს, ბ-ნი აჩესონი მიხვდეს, თუ რამდენად უსაფუძვლოა მისი ცდები გაამართლოს კორეაში სამხედრო ტყვეების გაცვლის საკითხში ამერიკის სარდლობის და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პრაქტიკა, რამდენად უსაფუძვლოა მისი მტკიცებანი, რომ ეს პრაქტიკა თითქოს რაიმე სახით შეესაბამება საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო პრაქტიკის პრინციპებს!

სამხედრო ტყვეების გაცვლის საკითხში კორეაში ამერიკის სარდლობის აბსოლუტურად არასწორი პოზიციის უკეთეს გაბათილებას, ამ სარდლობის მიერ, კერძოდ, ჟენევის 1949 წლის კონვენციის უხეში დარღვევის უკეთეს დამტკიცებას ბ-ნი აჩესონი ვერც კი მოიფქრებდა, როცა ამ რეზოლუციას იმოწმებდა.

ბ-ნმა აჩესონმა თავისი სიტყვა დაამთავრა მაღალფარდოვანი ფრაზით, რომ ამერიკის ხელისუფლები იმის მომხრე არიან, რომ კორეის საკითხი მშვიდობიანად მოწესრიგდეს პატიოსან საფუძველზე. მაგრამ თუ იგი დაჟინებით იცავს ამერიკის წინადადებას სამხედრო ტყვეების იძულებითი დაკავების შესახებ, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ნამდვილად აპირებს დაიკავოს სხვა პოზიცია, რომელსაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავარქმევთ „პატიოსან საფუძველს“.

დასკვნა: საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო პრაქტიკის გაბატონებული პრინციპია სამხედრო ტყვეების უთუო, უსიტყვო და სრული გაცვლის მოთხოვნა, იმის მოთხოვნა, რომ დამტყვევებელმა მხარემ უზრუნველყოს ყველა სამხედრო ტყვის დაბრუნება სამშობლოში, არაფერი მოიმიზეზოს, არ მიიღოს რაიმე ხელოვნური ღონისძიებანი, მით უმეტეს ისეთი, რომელსაც თან ახლავს უხეში ძალადობა, თვით სამხედრო ტყვეების წამება და დახოცვა იმ მიზნით, რომ ეს სამხედრო ტყვეები ძალით ამყოფონ შორს სამშობლოსაგან; ისეთი ღონისძიებანი, რომლებსაც ფარავს ყალბი და ფარისევლური ფრაზები სამხედრო ტყვეების „ნების თავისუფლების“ შესახებ, „თავისუფალი რეპატრიაციის“ შესახებ, რასაც იყენებენ თავიანთი უკანონო მოქმედების შესანიღბავად. საბჭოთა კავშირი ადგას საერთაშორისო სამართლის ამ გაბატონებულ პრინციპს, ემსახურება მას და მომავალშიც ემსახურება, როგორც ყველა ის, ვინც მზად არის ემსახუროს თავის სამშობლოს. პირიქით, ამ პრინციპს არღვევენ ისინი, ვისთვისაც ცალკეული ჯგუფების ანგარებითი ინტერესები სამშობლოს ინტერესებზე, მშვიდობიანი თანამშრომლობის ინტერესებზე მაღლა დგას. ჩვენი მოვალეობაა გავაფრთხილოთ ისინი არ გადადგან ასეთი ნაბიჯი, თორემ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ვერ შეასრულებს თავის მოვალეობას და ეს დიდად შეზღუდავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტსა და სახელს.

ნათქვამს უნდა დაემატოს ზოგიერთი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ბ-ნმა აჩესონმა, რომელმაც დაწვრილებით ილაპარაკა საბჭოთა რუსეთის მიერ 1918-1920 წლებში დადებულ შეთანხმებათა შესახებ, არაფერი თქვა შეერთებული შტატების მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებებზე, თუმცა მათ პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ სამხედრო ტყვეების გაცვლის საკითხთან. და ეს გასაგებია, იმიტომ რომ ისეთი ხელშეკრულებანი, როგორც მაგალითად 1898 წლის საზავო ხელშეკრულება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ესპანეთს შორის, ეყრდნობა არა ეგრეთწოდებული „თავისუფალი რეპატრიაციის“ პრინციპს, არამედ საერთაშორისო სამართალში საერთოდ აღიარებულს სამხედრო ტყვეების საყოველთაო სავალდებულო რეპატრიაციის პრინციპს. ბ-ნ აჩესონს არაფერი უთქვამს ისეთ საყურადღებო, განსაკუთრებით ამ საკითხში, ხელშეკრულების შესახებ, როგორიც არის ვერსალის 1918 წლის ხელშეკრულება — ამერიკის პრეზიდენტის ვილსონის ეს ქმნილება. ამ ხელშეკრულების 220-ე მუხლში ლაპარაკია აგრეთვე საყოველთაო სავალდებულო რეპატრიაციის პრინციპზე.

განა საჭიროა დავასახელო შეთანხმებანი დაზავებაზე, რომლებსაც მეორე მსოფლიო ომის დროს ხელი მოაწერეს შეერთებულმა შტატებმა, შეთანხმებანი, რომლებიც აგრეთვე მოითხოვენ რაც შეიძლება მალე მოხდეს სამხედრო ტყვეების საყოველთაო რეპატრიაცია და რომლებშიც სიტყვაც არ არის ნათქვამი „ნების თავისუფალ გამოვლინებაზე“? განა საჭიროა დავიმოწმო იტალიასთან საზავო ხელშეკრულების 71-ე მუხლი, რომელშიც პირდაპირ ნათქვამია:

„იტალიელი სამხედრო ტყვეები რეპატრიირებულ უნდა იქნან რაც შეიძლება მალე იტალიასა და იმ ცალკეულ სახელმწიფოთა შორის დადებულ შეთანხმებათა შესაბამისად, რომლებსაც ეს სამხედრო ტყვეები ჰყავთ“.

ასეთსავე დებულებებს შეიცავენ რუმინეთთან (მუხლი 20), ბულგარეთთან (მუხლი 19) და უნგრეთთან (მუხლი 21) საზავო ხელშეკრულებანი. ყველა ამ ხელშეკრულებას, როგორც ცნობილია, ხელს აწერენ ამერიკის შეერთებული შტატებიც.

თუ მივმართავთ დეკლარაციებს გერმანიის დამარცხების შესახებ და აქტს იაპონიის კაპიტულაციის შესახებ, შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ აქაც არის სრულიად უშენიშვნოდ გერმანიისა და იაპონიის ხელისუფალთა ვალდებულება — გადასცენ მოკავშირეთა წარმომადგენლებს ყველა სამხედრო ტყვე, რომლებიც გაერთიანებული ერების შეიარაღებულ ძალებს ეკუთვნიან.

გერმანიის დამარცხების შესახებ დეკლარაციის მე-6 მუხლში ნათქვამია:

„ა) გერმანიის ხელისუფლებმა უნდა გადასცენ მოკავშირეთა წარმომადგენლებს იმ წესის შესაბამისად, რომელიც დადგენილი იქნება მათ მიერ, მათს ხელში მყოფი ყველა სამხედრო ტყვე, რომლებიც გაერთიანებული ერების შეიარაღებულ ძალებს ეკუთვნიან, და წარმოადგინონ ამ პირთა სრული სიები გერმანიაში და გერმანიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მათი დაპატიმრების ადგილთა აღნიშვნით“.

იაპონიის კაპიტულაციის შესახებ აქტის მე-7 მუხლში ნათქვამია:

„ამით ჩვენ განკარგულებას ვაძლევთ იაპონიის საიმპერატორო მთავრობას და იაპონიის საიმპერატორო გენერალურ შტაბს დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ მოკავშირეთა ყველა სამხედრო ტყვე და ინტერნირებული სამოქალაქო პირი, რომლებიც ამჟამად იაპონელთა კონტროლში იმყოფებიან, და უზრუნველყონ მათი დაცვა, რჩენა და მოვლა, აგრეთვე მათი დაუყოვნებლივ მიყვანა ნაჩვენებ ადგილებში“.

ბ-ნი აჩესონი, ალბათ, ფიქრობდა, რომ ორმხრივი შეთანხმებანი, რომლებიც შეიცავენ რეპატრიაციაზე უარის თქმის შესაძლებლობის აღიარებას, იმის დამამტკიცებელია, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში გვხვდება ასეთი შეთანხმებანი. მაგრამ აქ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ორი გარემოება:

1. თვით ფაქტი შეთანხმებისა, რომელშიც სპეციალურად დათქმულია რეპატრიაციაზე უარის თქმის უფლება, მხოლოდ ადასტურებს ასეთი უარის თქმის შეუწყნარებლობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის მოქმედებას. ტყუილად კი არ ამბობენ ინგლისელები: „The exception proves the rule“ („გამონაკლისი წესის დამადასტურებელია“).

2. საერთაშორისო სამართალში რომ გაბატონებული იყოს პრინციპი, რომელსაც დაენებით იცავს ამერიკის დელეგაცია, რომელიც იმეორებს კორეაში სამხედრო სარდლობის პოზიციას, მაშინ სრულიადაც არ იქნებოდა საჭირო სპეციალურ შეთანხმებათა დადება, რომლებიც ზღუდავენ ამ პრინციპს. საკმარისი იქნებოდა საერთაშორისო სამართლის ნორმა. მაგრამ ასეთი ნორმა არ არის. არის ნორმა, რომელიც პირდაპირ გამორიცხავს პრინციპს, რომლის პრაქტიკაში შემოღებას ცდილობს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა. მაგრამ ამ მთავრობას არ სურს ანგარიში გაუწიოს ამ საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს, რადგან ეს მისთვის ხელსაყრელი არ არის.

ზედმეტი არ იქნება აგრეთვე მივმართოთ საერთაშორისო სამართლის მეცნიერ ავტორიტეტებს, გამოვარკვიოთ, რას ნიშნავს communis opinio doctorum, — მეცნიერთა საერთო, ე. ი. ერთსულოვანი აზრი.

ცნობილი ინგლისელი იურისტის — საერთაშორისო სამართლის მცოდნის პროფესორ ოპენჰეიმის, ამერიკელი პროფესორის ჩარლზ ფენვიკის, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის ჯორჯ ვილსონის, ცნობილი ფრანგი იურისტის—საერთაშორისო სამართლის მცოდნის ფოშილის, ცნობილი რუსი პროფესორის საერთაშორისო სამართლის მცოდნის მარტენსისა და ბევრ სხვათა ნათქვამიდან ჩანს, რომ ყველა ისინი იმავე თვალსაზრისს იზიარებენ—ზავის დადების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს სამხედრო ტყვეთა რეპატრიაცია, როგორც ეს გათვალისწინებულია ჰააგის 1907 წლის კონვენციით, როგორც ეს მოხდა ესპანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 1898 წელს საზავო ხელშეკრულების დადებისას, როგორც ეს გათვალისწინებული იყო გერმანიასთან დაზავების შესახებ 1918 წლის 11 ნოემბრის შეთანხმების მე-10 მუხლით.

საჭიროა გავაკეთოთ კიდევ შემდეგი დასკვნა, რომელიც თავისთავად იგულისხმება: უნდა დავიცვათ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, განსაკუთრებით, როცა ისინი გამოხატულია საერთაშორისო კონვენციებით, რომლებსაც ხელს აწერენ სახელმწიფოები, რომლებმაც, ამრიგად, იკისრეს არა მარტო მორალური, არამედ აგრეთვე იურიდიული ვალდებულებანი. არ შეიძლება საერთაშორისო კანონი ხელნასავით ვაბრუნოთ აქეთ-იქით იმის მიხედვით, თუ როგორია ესა თუ ის დროებითი ინტერესი ან ანგარებითი მიზანი. არ უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ ასეთ უგულებელყოფას, ასეთ თვითნებობას არ დაგმობს საზოგადოებრივი აზრი, რომ მის წინააღმდეგ მხურვალე პროტესტს არ განაცხადებს ყველა პატიოსანი ადამიანი, რომ იგი არ გამოიწვევს წინააღმდეგობას, რომელიც აუცილებლად წარმოიშობა მშვიდობისმოყვარე ხალხთა სინდისის შეშფოთებისა და შეურაცხყოფის შედეგად.

სამხედრო ტყვეთა გაცვლის საკითხი გახდა ერთადერთი დაბრკოლება კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე, კორეის ომის შეწყვეტის გზაზე, ომისა, რომელიც უკვე ორ წელიწადზე მეტია გრძელდება და რომელსაც დიდი ტანჯვა და უბედურება მოაქვს. სამხედრო ტყვეთა გაცვლის საკითხის გულდამშვიდებით და ობიექტურად განხილვამ უნდა დაგვარწმუნოს, რომ სავსებით სამართლიანია პოზიცია, რომელიც კორეა-ჩინეთის მხარემ დაიკავა. მშვიდობისა და კეთილი ნების ყველა ადამიანმა მხარი უნდა დაუჭიროს ამ პოზიციას, რომელიც საზავო კორეის ომის რაც შეიძლება მალე შეწყვეტის, კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების გზას.

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მომზადებული რეზოლუციის პროექტი, რომელსაც მიემხრნენ კორეის ომის მონაწილე ქვეყნების მთელი რიგი დელეგაციები, ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას და უარყოფილ უნდა იქნას, როგორც სრულიად არადამაკმაყოფილებელი.

კორეაში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებულ მრავალ დიდმნიშვნელოვან საკითხს შორის მცირე მნიშვნელობა როდი აქვს აგრეთვე კორეის გაერთიანებისა და აღდგენის საკითხს. ამ პრობლემის გადაჭრისათვის ხელშეწყობის მიზნით შექმნილმა კომისიამ თავი ვერ გაართვა თავის ამოცანას, ცხადყო თავისი სრული უვარგისობა და უუნარობა ისეთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრაში, როგორიც არის კორეის გაერთიანებისა და აღდგენისათვის ხელის შეწყობა, და არც კი ცდილობდა ამას, რადგან გადაიქცა ამერიკის სამხედრო სარდლობის იარაღად, როგორც ეს ჩანს მისი მოხსენებიდან, და, კერძოდ, მისი საკუთარი მოხსენების 70-ე პუნქტიდან.

კორეის გაერთიანებისა და აღდგენის კომისია შექმნილი იყო, როგორც ეს მთელმა მისმა მოღვაწეობამ დაამტკიცა, სრულიადაც არა იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყო კორეის გაერთიანებისა და მისი აღდგენისათვის, არამედ იმ მიზნით, რომ შეცდომაში შეეყვანა საზოგადოებრივი აზრი, თითქოს ამერიკელი ინტერვენტები ასეთ ამოცანას ისახავენ. სინამდვილეში ისინი არ ისახავენ ასეთ ამოცანას, და არც შეუძლიათ დაისახონ, სანამ ბარბაროსულ ომს ეწევიან კორეელი ხალხის წინააღმდეგ, ანგრევენ მთელ ქალაქებსა და სოფლებს, აოხრებენ კორეის მიწა-წყალს, ჟლეტენ მოსახლეობას. ეჭვს არ იწვევს იმ მტკიცების უაზრობა, რომ ამერიკელი ინტერვენტები, რომლებიც ვითომდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელით მოქმედებენ, ამოცანად ისახავენ კორეის აღდგენას და ვითომდა ცდილობენ მის გაერთიანებას. არავითარ გაერთიანებაზე არ შეიძლება ლაპარაკი, როცა ომმა, რომელიც თავს მოახვიეს კორეელ ხალხს, გამოიწვია კორეის კიდევ უფრო გათიშვა ორ ნაწილად და როცა ჩრდილოეთ კორეის ზურგის დაუნდობელი სისტემატური დაბომბვა შეუძლებელს ხდის რაიმე აღდგენითს მუშაობას.

ცხადია, რომ კორეის საკითხში მთავარი ამოცანაა ბოლო მოვუღოთ ომს, მივაღწიოთ კორეის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას. პოლონეთის დელეგაციის მიერ შემოტანილი წინადადებანი სავსებით აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნას, წარმოადგენენ რა ისეთი მოქმედების მთელ პროგრამას, რომლის მიზანია ყველაზე დიდმნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარი საკითხის—კორეაში ომისა და ზავის საკითხის ეფექტიანად გადაჭრა. პოლონეთის დელეგაციის ეს წინადადებანი იმის გამო, რომ საკითხთა განხილვის წესის განსაზღვრისას პირველმა კომიტეტმა მიიღო არასწორი გადაწყვეტილება, უფრო გვიან იქნება განხილული. ამჟამად დღის წესრიგში დგას საკითხი კორეის გაერთიანებისა და აღდგენის კომისიის მოხსენების შესახებ. საბჭოთა კავშირის დელეგაციას, დღის წესრიგის ამ პუნქტის ამოცანების შესაბამისად, პირველი კომიტეტის განსახილველად შემოაქვს თავისი წინადადებანი და გამოთქვამს რწმენას, რომ მას ჯეროვნად დაუჭერს მხარს ყველა დელეგაცია, რომელიც ნამდვილად ესწრაფვის კორეის გაერთიანებასა და აღდგენას.

ჩვენი რეზოლუციის პროექტში ნათქვამია:

„გენერალური ასამბლეა, რომელმაც განიხილა კორეის გაერთიანებისა და აღდგენის კომისიის მოხსენება, საჭიროდ თვლის:

დაარსდეს კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების კომისია უშუალოდ დაინტერესებული მხარეებისა და სხვა სახელმწიფოების, მათ შორის იმ სახელმწიფოების მონაწილეობით, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ კორეის ომში.

დაევალოს ხსენებულ კომისიას დაუყოვნებლივ მიიღოს ღონისძიებანი კორეის საკითხის მოსაწესრიგებლად კორეის გაერთიანების საფუძველზე, რასაც განახორციელებენ თვით კორეელები. ზემოაღნიშნული კომისიის მეთაურობით“.

შეშფოთება ბონის მმართველ წრეებში ბონის სეპარატიული ხელშეკრულების საიდუმლო მუხლების მხილების გამო

ბერლინი, 1 ნოემბერი. (საკადესი). ადნ-ის საგაზეთო იუწყება:

ბევრ გერმანულ გაზეთში და უცხოთის პრესაში გამოქვეყნებულმა მახილებელმა ცნობებმა იმის შესახებ, რომ არსებობს ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა საიდუმლო დამატებითი შენიშვნები და, უწინარეს ყოვლისა, ცნობებმა აგრესიული ატლანტიკის ბლოკში დასავლეთ გერმანიის ფორმალურად შესვლის შესახებ შეშფოთება გამოიწვია უმაღლესი სამოკავშირეო კომისიის ამერიკული ნაწილისა და ბონის მთავრობის წრეებში. მოხსენება საიდუმლო შენიშვნების შესახებ ადენაუერმა გააკეთა ბუნდესტაგის ქრისტიან დემოკრატთა კავშირის, ქრისტიანულ-სოციალური კავშირისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფრაქციების გამგეობათა დახურულ სხდომაზე.

ადენაუერსა და ამერიკის უმაღლეს კომისარს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ არ გამოაქვეყნონ ამ ცნობის ოფიციალური უარყოფა. ბონის ბეჭდვითი სიტყვის უწყების ხელმძღვანელმა და დასავლეთის პრესის საგენტოებმა მიიღეს დავალება თავიანთი სახელით უარყონ ეს ფაქტები. დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის გაზეთების უმრავლესობამ, რომლებისთვისაც ცნობილია საიდუმლო დამატებითი შეთანხმებების არსებობა, უარი თქვა გამოექვეყნებინა დასავლეთ გერმანიის დპა-ს საგენტოს ცნობა ამ საკითხზე.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 1 ნოემბერი. (საკადესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ განვლილი დღის მანძილზე სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ სახალხო მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით გააფთრებულ თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტების წინააღმდეგ კიმხვის რაიონში. ამ რაიონში მოწინააღმდეგემ 2 ბატალიონზე მეტი ძალებით 10-ჯერ მოიტანა იერიში. იერიშები მოგერიებულ იქნა.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 2 და დააზიანეს 1 თვითმფრინავი.

გასწორება

„კომუნისტის“ 2 ნოემბრის მოწინავე წერილის პირველი აბზაცის ბოლო სტრიქონები უნდა იკითხებოდეს: „მშრომელთა აზრები და საქმეები მიმართულია იქითკენ, რომ მთლიანად და გადამეტებით შეასრულონ მეხუთე სტალინური ხუთწლედი, რაც წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ განვითარების „გზაზე“.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი.

მეუღლე ლუბა, შვილები ნათელა, ბორის, მურმან, ა. ძიგუები, რძალი ციალა, შვილიშვილი ნანა იუწყებიან **არჩილ დავითის-ძე ძიგუას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-XI, 7 ს. გამოსვენება 6-XI, 4 ს. ხევსურეთის, № 4.

ბიძა კოტე, ბიცოლა თინა, ბიძაშვილები მედეა, მერაბ, ზურაბ ცირდილაძეები, სიძე ლადო კანდელაკი, თამარ, მერი,